

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

პირველი განყოფილება

როდე დანიის წინააღმდეგ

(განაცხადი №69332/01)

განჩინება

სტრასბურგი
21 ივლისი, 2005 წელი

საბოლოო

21/10/2005

წინამდებარე განჩინება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მეორე პარაგრაფით გათვალისწინებული გარემოებების შესაბამისად. იგი შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ გადახედვას.

საქმეში როდეს დანიის წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ (პირველი განყოფილება), რომელიც შეიკრიბა განმხილველი პალატის სახით და რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ:

ბ-ნი ს. ლ. რ(ო)ზაკისი, პრეზიდენტი,

ბ-ნი ლ. ლ(ო)კაიშისი,

ქ-ნი შ. ტუშკანისი,

ბ-ნი პ. პ(ო)რმენისი,

ქ-ნი ნ. პაჟისი,

ქ-ნი ს. ბოტშნარ(ო)ვა,

ბ-ნი ა. კოვალ(ო)ვი, მოსამართლეები,

და ბ-ნი ს. ქუშნარ(ო)ვი, განყოფილების რეგისტრატორის მოადგილე,

იმსჯელა რა განცხადებებით 2005 წლის 30 ივნისს,

გამოიტანა შემდეგი განჩინება, რომელიც მიღებულ იქნა მითითებულ რიცხვში:

პროცედურა

1. საქმე დაიწყო სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად, დანიის სამეფოს წინააღმდეგ, დანიის მოქალაქის, ბ-ნი პიტერ როდეს („განმცხადებელი“) მიერ 2001 წლის 19 თებერვალს შეტანილი განცხადებით (№ 69332/01).

2. განმცხადებელი წარმოდგენილი იყო ქ-ნი მერეტ სტაგეტორნის, კოპენჰაგენში პრაქტიკოსი იურისტის მიერ. მთავრობა წარმოდგენილი იყო საგარეო საქმეთა სამინისტროდან მისი წარმომადგენლის, ბ-ნი პიტერ ტაკსო-ჯენსენის და იუსტიციის სამინისტროდან მისი თანა-წარმომადგენლის, ქ-ნი ნინა პოლსტ-ქრისტენსენის მიერ.

3. აპლიკანტი ამტკიცებდა რომ დანიის ხელისუფლებამ ის დაუქვემდებარა კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპერობას, რადგან იგი 1994 წლის 14 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე იმყოფებოდა ცალკე, იზოლირებულ პატიმრობაში.

4. განაცხადი მოთავსდა სასამართლოს პირველ განყოფილებაში (სასამართლოს რეგულაციების წესი 52, §1). აღნიშნულ განყოფილებაში საქმის განმხილველი პალატა (კონვენციის 27-ე მუხლის §1) დაკომპლექტდა 26-ე წესის პირველი პარაგრაფის მიხედვით.

5. 2003 წლის გადაწყვეტილებით, სასამართლომ განაცხადი დასაშვებად ცნო.

6. განმცხადებელმა და მთავრობამ წარადგინეს მიმოხილვები საქმესთან დაკავშირებით (წესი 59, §1).

7. სასამართლომ 2004 წლის 1 ნოემბერს შეცვალა განყოფილებების შემადგენლობა (წესი 25, §1) და აღნიშნული საქმე გადაეცა ახლად დაკომპლექტებულ პირველ განყოფილებას (წესი 52, §1).

ფაქტები

1. საქმის გარემოებები

ა. განმცხადებლის იზოლირებულ პატიმრობაში მოთავსების გადაწყვეტილება

8. 1994 წლის 25 ოქტომბერს საწყობის თანამშრომელმა ბრაზილიიდან ჩამოტანილ მწვანე პაპაიას ტვირთში იპოვა განმცხადებლის მიერ შეკვეთილი 5.684 კგ. კოკაინი. აღმოჩენის შესახებ ეცნობა პოლიციას, რომელმაც განმცხადებელი იმავე დღეს დაკითხა. განმცხადებელმა

აღნიშნა, რომ მან არ იცოდა კოკაინის არსებობის შესახებ და ხილი, თესლისგან ჯანსაღი პროდუქტის წარმოების მიზნით შეუქცევია.

9 განმცხადებელი, რომელიც ინგლისში აპირებდა ემიგრაციას, 1994 წლის 13 დეკემბერს კოპენჰაგენის აეროპორტში დააკავეს და ნარკოტიკებით ვაჭრობა წაუყენეს ბრალად.

10. 1994 წლის 14 დეკემბერს, კოპენჰაგენის ქალაქის სასამართლომ (*Kobenhavns Byret*) სამართლის ადმინისტრაციის აქტის (*Retsplejeloven*) 762-ე ნაწილის 1 (III) ქვეპუნქტისა და 770-ე ნაწილის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება პატიმრის წინასწარ, განცალკევებით დაკავების თაობაზე, განცალკევებით დაკავების ბოლო ვადად განისაზღვრა 1994 წლის 28 დეკემბერი. სოლო წინასწარი დაკავებისათვის – 1995 წლის 10 იანვარი. ქალაქის სასამართლომ, ძირითადად, მიუთითა იმ ფაქტებზე, რომ პირი „პლ“, რომელსაც განმცხადებელი იცნობდა ექვსი თვის განმავლობაში, დააკავეს იმავე საქმის გამო, რადგან მან ხილის (პაპაიას) ტვირთი მას შემდეგ წაიღო, რაც განმცხადებელმა ის მასთან გადააგზავნა. ასევე საქმეში იგულისხმებოდა, რომ თანამონაწილეები ისევ ეკონტაქტდნენ ერთმანეთს, ამასთან საქმე მოითხოვდა შემდგომ გამოძიებას. განმცხადებელმა კი საქმის გახსნის შემდეგ საცხოვრებელი ადგილი ღონდონში მიიღო.

11. სააპელაციო საჩივრის შემდეგ, აღმოსავლეთ დანიის უმაღლესმა სასამართლომ 1994 წლის 17 დეკემბერს საქალაქო სასამართლოს მიერ მიითითებული საფუძვლებით გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

12. 1994 წლის 21 დეკემბერს პოლიციის მიერ დაკითხვის დროს, განმცხადებელმა განაცხადა, რომ 1994 წლის ოქტომბერში მას დაუკავშირდა პაპაიას ბრაზილიელი ფერმერი სახელად „რს“, რომელიც დანიაში ბიზნეს-პარტნიორს ეძებდა. „რს“-მ განმცხადებელი მისი მეგობრის „რბ“-ს მეშვეობით იპოვა, რომელსაც განმცხადებელი აშშ-დან იცნობდა. შესაბამისად, განმცხადებელი იმპორტირებისას დახმარების მისაღებად „პლ“-ს დაუკავშირდა.

13. 1994 წლის 28 დეკემბერს ქალაქის სასამართლომ განმცხადებელს იზოლირებულ პატიმრობაში ყოფნა 1995 წლის 10 იანვრამდე გაუგრძელა. სასამართლო ჩანაწერებიდან ჩანს, რომ განმცხადებლის წარმომადგენელმა წერილობით დაადასტურა განმცხადებლის თანხმობა ვადის გაგრძელების თაობაზე სასამართლოში გამოცხადების გარეშე.

14. 1995 წლის 10 იანვარს ქალაქის სასამართლოს მიერ ასევე გაგრძელდა იზოლირებულ წინასწარ პატიმრობაში ყოფნის ვადაც, რაც 1995 წლის 16 იანვარს დაადასტურა უმაღლესმა სასამართლომ, რომელმაც, თავის მხრივ, სხვა საკითხებთან ერთად დაადგინა, რომ არ არსებობდა განმცხადებლის მიერ პაპაიას იმპორტირების აუცილებლობის გონივრული დასაბუთება და განმცხადებლის მიერ ხილის იმპორტირება „პლ“-ს კოკაინთან კავშირის ასახავდა.

15. განმცხადებლის წინასწარი იზოლირებული დაკავების ვადა ქალაქის სასამართლოს მიერ ხელახლა გაგრძელდა 1995 წლის 7 თებერვალსა და 7 მარტს. განმცხადებელმა უმაღლეს სასამართლოში გაასაჩივრა ბოლო გადაწყვეტილება და წარადგინა თავისი დღიური, რომელიც მოიცავდა ჩანაწერებს „რს“-სა და „რბ“-სთან დაკავშირებით 1994 წლის 11 და 14 ოქტომბერს. განმცხადებელმა განმარტა, რომ „რს“ და „რბ“ უნდა ჩამოსეულიყვნენ დანიაში 1994 წლის 14 ოქტომბერს, მაგრამ ისინი საერთოდ არ გამოჩენილან. 1995 წლის 24 მარტს უმაღლესმა სასამართლომ დაამტკიცა საქალაქო სასამართლოს 1995 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება შემდეგ საფუძვლებზე:

„... [განმცხადებლის] დღიურში წარმოდგენილი ახალი ინფორმაციის მიუხედავად, მის მიერ ხილის (პაპაიას) იმპორტი მიიჩნევა როგორც კავშირი დაკავებულსა [„პლ“-სა] და კოკაინის აღმოჩენას შორის. ეს გამყარებულია 1994 წლის 24 ოქტომბერს განხორციელებული სატელეფონო ზარიტ [განმცხადებლის მიერ „პლ“-სთან]. შესაბამისად, 762-ე ნაწილის 1 (I) და (II) საფუძველზე განხორციელებული წინასწარი იზოლირებული განგრძობითი დაკავება მიიჩნევა სამართლებრივად საქალაქო სასამართლოს 1995 წლის 7 მარტის ბრძანებისამებრ“.

16. წინასწარი დაკავება იზოლირებულ პატიმრობაში გაგრძელდა შემდეგნაირად: საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით 1995 წლის 4 აპრილს, რომელიც დაადასტურა უმაღლესმა

სასამართლომ აპელაციის საფუძველზე 1995 წლის 20 აპრილს; საქალაქო სასამართლოს მიერ 1995 წლის 25 აპრილს, რაც ასევე დაადასტურა უმაღლესმა სასამართლომ 1995 წლის 11 მაისს; საქალაქო სასამართლოს მიერ 1995 წლის 30 მაისს, 27 ივნისს, 25 ივლისს, 22 აგვისტოს; 1995 წლის 19 სექტემბერს

17. „პლ“-მ აღიარა კოკაინის კონტრაბანდასთან კავშირი 1995 წლის 12 სექტემბერს დამატებით, მან განაცხადა, რომ განმცხადებელს ეგონა კონტრაბანდა ბრილიანტებს შეეხებოდა ამ განცხადების დაპირისპირების შემდეგ განმცხადებელმა პოლიციასთან დაკითხვისას, 1995 წლის 26 სექტემბერს, განმარტა, რომ მან „პლ“-სთან ერთად პაპაიაში ბრილიანტების კონტრაბანდა ნამდვილად დაგეგმა. ხილის (პაპაიას) მიღების შემდეგ „პლ“-მ შეატყობინა განმცხადებელს, რომ ბრილიანტების რაოდენობამ მშვიდობიანად ჩამოაღწია, გაყიდა და მოგებას შეადგინა 500.000 დანიური კრონა (DKK). მას შემდეგ, რაც პოლიცია და პრესა დაუპირისპირდა კოკაინის აღმოჩენის ფაქტით, ის პანიკამ მოიცვა და ინგლისში ემიგრირება გადაწყვიტა. განმცხადებელმა ასევე აღიარა, რომ წინა განმარტებები „რს“-სა და „რბ“-ს თაობაზე და მისი ჩანაწერები დღიურში, მისი და „პლ“-ს მიერ დაპატიმრებამდე მოგონილი ტყუილი იყო „ამსხნელი ისტორიის“ ფორმით

18. 1995 წლის 3 და 17 ოქტომბერს საქალაქო სასამართლომ დაამტკიცა განმცხადებლის წინასწარი იზოლირებული დაკავების ფაქტი მის მიერ განმცხადებლისა და მისი წარმომადგენლის თანხმობის წერილების მიღების საფუძველზე 1995 წლის 31 ოქტომბერს საქალაქო სასამართლოს წინაშე მოსმენას ესწრებოდნენ განმცხადებელი და მისი წარმომადგენელი, სადაც მათ პატიმრობის გაგრძელება გააპროტესტეს. საქალაქო სასამართლომ გადაწყვიტა შემდეგი: „სასამართლო, აღმინისტრაციული აქტის 770- ნაწილის საფუძველზე, საჭიროდ მიიჩნევს იზოლირებული პატიმრობის შენარჩუნებას პროკურორის ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც შეეხება განმცხადებლისა და „პლ“-ს განცხადებების შეუსაბამობას, ჰქონდა თუ არა ამ ორ ადამიანს შეთანხმება კოკაინის კონტრაბანდაზე თუ ბრაზილიიდან კონტრაბანდის შემოტანაზე. წინასწარი გამოძიების გაგრძელების მიუხედავად, სასამართლო მიიჩნევს, რომ იზოლირებული პატიმრობა უნდა გაგრძელდეს, სულ მცირე, სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე და ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქმის განხილვა დაიწყო 1995 წლის 24 და 28 ნოემბერს“

1995 წლის 2 ნოემბერს ეს გადაწყვეტილება აპელაციური საჩივრის საფუძველზე ძალაში დატოვა უმაღლესმა სასამართლომ

19. 1995 წლის 28 ნოემბერს საქალაქო სასამართლოს წინაშე მოსმენისას განმცხადებელმა დაადასტურა მის მიერ 1995 წლის 26 სექტემბერს მიცემული განმარტება და საქალაქო სასამართლომ შეცვალა მისი იზოლირებულ მდგომარეობაში პატიმრობის გაგრძელება. მიუხედავად ამისა, განმცხადებელმა საკუთარი სურვილით გააგრძელა მსგავს პირობებში პატიმრობაში ყოფნა 1995 წლის 12 დეკემბრამდე.

ბ. ციხის პირობები

20 იზოლირებულ პატიმრობაში ყოფნისას განმცხადებელი დასავლეთის ციხეში (*Vestre Fængsel*) იყო დაკავებული. საკნების ფართი შეადგენდა, დაახლოებით, 8მ²-ს და მათ მოწყობილობებში შედიოდა: საწოლი, მაგიდა, სკამი, ღამის ნათურა, წიგნების თარო, კარადა, რადიო, ტელევიზორი, მაცივარი/საყინულე, ლეიბი, ბალიში, სარკე, ნიჟარა, საწოლის თეთრეული, ჩაის ტილო და პირსახოცი. ყველა საკანს ჰქონდა ფანჯარა, რომელიც მღებარეობდა იატაკიდან 3 მეტრის სიმაღლეზე. იატაკი იყო ტერასისებური, ცემენტის.

21. დასავლეთის ციხეში წინასწარი დაკავებისას იზოლირებულ პატიმრობაში ყოფნის დროს განმცხადებელი აბსოლუტურად გამოუთქმა სხვა მესაკნეებთან ურთიერთობას. იგი მიჰყვებოდა დღიურ რუტინას, ეგრეთ წოდებულ, სერეგაციულ ფრთაზე და მას კვირაში ერთხელ შეეძლო ფიტნეს-ოთახის გამოყენება, სხვადასხვა თამაშის სესხება, მისი ჰობის სხვადასხვა აქტივობით დაკავება, მაგალითად, როგორცაა ხატვა, წიგნების თხოვნა, მაღაზიაში ნივთების, ასევე გაზეთების ყიდვა და მონაწილეობის თანხის, მათ შორის, სწავლის თანხის

მიღება მას დღეში ორჯერ (დილას და შუადღისას, ნახევარი საათით) შექმნილი ვარჯიში, ასევე მისი გადასაწყვეტი იყო გამოცდები, თუ არა გარეთ სეირნობის პერიოდები

გ. ოჯახისა და მეგობრების ვიზიტები

22. განმცხადებლის ოჯახისა და მისი მეგობრების ვიზიტები მხოლოდ ზედამხედველობის ქვეშ იყო შესაძლებელი განმცხადებლის დედამ განმცხადებელი 1994 წლის 14 დეკემბრიდან 1995 წლის 10 იანვრამდე ორჯერ მოინახულა. ამის შემდეგ მოკლე პერიოდის განმავლობაში განმცხადებელმა ვიზიტორების მიღებაზე უარი განაცხადა 1995 წლის 7 მარტიდან დედა ისევ სტუმრობდა მას ყოველ კვირას, დაახლოებით, ერთი საათით როგორც ჩანს, დასაწყისში მეგობრები დედასთან ერთად მოდიოდნენ, ერთდროულად ხუთ ადამიანამდე, მაგრამ პოლიციამ შეზღუდა მათი რაოდენობა ორ ადამიანამდე იმისათვის, რომ შეეძლო შეხვედრა, ხომ არ მოიცავდა მათი დიალოგი განმცხადებლის ბრალთან დაკავშირებულ საკითხებს. 1995 წლის თებერვლიდან განმცხადებლის მამა ბიძაშვილთან ერთად ყოველ ორ კვირაში ერთხელ სტუმრობდა მას.

დ. ურთიერთობა დამცველთან, პოლიციის ოფიცერთან, მოსამართლეებთან და საჯარო პროკურორთან

23. განმცხადებლის დამცველი მასთან მიდიოდა, დაახლოებით, კვირაში ერთხელ. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ მან განმცხადებელს რამდენჯერმე გაუგზავნა ბალახეულის წამლები. ასევე საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ციხის მომსახურე პერსონალმა ციხის მენეჯერს მიმართა თხოვნით შეეზღუდა განმცხადებელთან მისი დამცველის ვიზიტები, რადგან ისინი უფრო ხშირი და გრძელვადიანი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი დამცველის ვიზიტები. ციხის მენეჯერმა განიხილა დამცველის საკითხი, მაგრამ არანაირი შეზღუდვა არ დაუწესებია.

24. უფრო მეტი, სეგრეგაციის პერიოდში განმცხადებელი დაკითხა საქმის გამომძიებელმა, პოლიციის ოფიცერმა, კერძოდ, „ჯლ“-მ. ასევე რამდენჯერმე მოხდა განმცხადებლის წარდგენა სასამართლოს წინაშე მისი წინასწარ იზოლირებულ პატიმრობაში დაკავების ვადის გაგრძელებისა და სასამართლო მოსმენის გამო. ამ შემთხვევებში მას კონტაქტი ჰქონდა როგორც პოლიციის ოფიცრებთან, ისე თავის დამცველთან, მოსამართლეებთან და საჯარო პროკურორთან.

ე. ურთიერთობა ციხის პერსონალთან

25. განმცხადებელს ციხის პერსონალთან დღეში რამდენჯერმე ჰქონდა ურთიერთობა, მათ შორის, საკვების მიტანისას, მოგვიანებით, საკვების ყუთების შეგროვებისას, გარეთ სავარჯიშოდ გასვლისას, ბანაობისას და როცა ფიტნეს-ოთახს იყენებდა.

26. 1995 წლის მარტიდან დეკემბრამდე განმცხადებელს ციხის ერთ-ერთმა მასწავლებელმა ინგლისურსა და ფრანგულ ენებში 50 გაკვეთილი ჩაუტარა. ეს ხდებოდა, დაახლოებით, კვირაში ერთხელ, 1 საათისა და 15 წუთის განმავლობაში.

27. დამატებით, განმცხადებელი კვირაში ერთხელ, დაახლოებით, 1 საათით სტუმრობდა ციხის მღვდელს მისივე ოფისში.

28. გარდა ამისა, 1994 წლის 14 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე განმცხადებელი, დაახლოებით, 12-ჯერ შეხვდა სოციალურ მეშაკს, რომელთანაც 1995 წლის 11 დეკემბერს შემდგარ ბოლო შეხვედრაზე განმცხადებელმა განაცხადა, რომ იზოლირებული პატიმრობა მას იმდენად თრგუნავდა (1995 წლის 28 ნოემბრიდან საკუთარი ნების საფუძველზე), რომ, სავარაუდოდ, უარს იტყოდა მასზე. ამასთან, მან განაცხადა, რომ იმ წუთში არ ჰქონია პრობლემები, რომელთა გადაჭრაშიც მას სოციალური მეშაკი, თუ ციხისა და პრობაციის სამსახური (*Kriminalforsorgen*) დაეხმარებოდნენ. ამის ნაცვლად, ის საუბრობდა საქმესთან დაკავშირებულ პრობლემებზე, მათ შორის, დალატზე იმ ხალხის მხრიდან, რომლებიც მას კარგ მეგობრებად მიაჩნდა.

29. იმავე პერიოდში განმცხადებელს სტომატოლოგმა ორჯერ უმკურნალა, ხოლო ფსიქოთერაპევტმა ის, დაახლოებით, ოცდათორმეტჯერ მოინახულა.

ვ. ურთიერთობა ექიმებთან

30. 1994 წლის 13 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე, განმცხადებლის წინასწარ იზოლირებულ პატიმრობაში ყოფნის განმავლობაში, ექიმმა მას სამედიცინო შემოწმება ოცდაშვიდჯერ ჩაუტარა.

31. როგორც წარდგენილი ციხის სამედიცინო ჟურნალებიდან ჩანს, განმცხადებელი დაპატიმრებიდან, 1994 წლის 13 დეკემბრის 8 საათიდან, 1994 წლის 14 დეკემბრის 12:30 საათამდე მოთავსებული იყო დასაკვირვებელ საკანში, რადგან ის აცხადებდა, რომ იტანჯებოდა კლავსტროფობიით და ცდილობდა თვითმკვლელობას. ამ პერიოდის განმავლობაში ის ციხის პერსონალმა ოცდათექვსმეტჯერ, ექთნებმა კი – ორჯერ შეამოწმეს. იმ დამეს მას საძილე აბი მისცეს (საძილე აბს შემდგომი ერთი კვირის განმავლობაშიც აძლევდნენ).

32. 1995 წლის 11 იანვარს ექიმმა განმცხადებლის შემოწმების შემდეგ უარი განაცხადა საძილე აბების მიღების გაგრძელებაზე. მან დაადგინა, რომ განმცხადებელს არ აწუხებდა კლავსტროფობია და ურნია ქიმიური აბების მიღების ნაცვლად დაეწყო ვარჯიში და ამით ბუნებრივი დადლილობა გამოეწვია.

33. 1995 წლის იანვრის დასაწყისში/შუა პერიოდში განმცხადებელმა დაიწყო შიმშილობა, თუმცა ის სვამდა ხილის წვენებს. ამასთან დაკავშირებით, მას ექიმები და ექთნები ყოველდღე ამოწმებდნენ, 1995 წლის 16, 17 და 18 იანვარს.

34. 1995 წლის 17 იანვარს განმცხადებელმა ექიმს განუცხადა, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა შიმშილობა სიკვდილამდე. ციხის ექიმმა მას განუმარტა დანიის შესაბამისი წესი, რომლის მიხედვითაც, პატივი უნდა სცენ ფსიქიკურად სრულფასოვანი ადამიანის გადაწყვეტილებას და ხურვილს, თუნდაც ეს ეხებოდეს სიკვდილს. ექიმმა დაადგინა, რომ განმცხადებელი ფსიქიკურად იმდენად გაწონასწორებული იყო, რომ მსგავს გადაწყვეტილებას იგი ვერ მიიღებდა. ექიმმა მიიღო განმცხადებლის უარი და დაეთანხმა მედიკამენტებით ჩარევის თაობაზე (ხელოვნური კვება განმცხადებლის ჯანმრთელობის გაუარესებისა და სისუსტის შემთხვევაში). ამასთან ექიმმა განმცხადებელი ფსიქიკურად ნორმალურად ცნო და დაადგინა, რომ მას არ ჰქონდა სიმჟავის სენი (შიმშილობის ნეკულებრივი შედეგი). ექიმმა მას იმ დამისთვის საძილე აბი გამოუწერა. ციხის წესების მიხედვით, ექიმმა განმცხადებლისათვის ფსიქიატრის დახმარება მოითხოვა (მოთხოვნა, როდესაც პატიმარი შიმშილობას იწყებს, თუნდაც არ აღენიშნებოდეს ფსიქიკური აშლილობის ნიშნები).

35. მომდევნო დღეს, 1995 წლის 18 იანვარს, განმცხადებელმა ექიმს აცნობა, რომ მან დაიწყო სმა, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ გარდაიცვლებოდა სამი კვირის განმავლობაში. ექიმმა დაადგინა, რომ განმცხადებელი ნორმალურად იყო და არ აღენიშნებოდა გაუწყლოვნების ნიშნები. რაც შეეხება განმცხადებლის ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ექიმმა მოიცადა ფსიქიატრიულ გამოკვლევამდე, რომელიც იმავე დღეს იყო დანიშნული. ეს უკანასკნელი აღგენდა:

„ვიზიტი ოცდაათი წლის მამაკაცთან, რომელსაც ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 191-ე მუხლით (*straffeloven*), რაშიც, მისი შეხედულებით, ის უდანაშაულოა. ის ახლა პროტესტის ნიშნად შიმშილობს, რადგან, მისი აზრით, პრესამ და საზოგადოებამ იგი წინასწარ ცნო დამნაშაულად. ის სავსებით აცნობიერებს მსგავსი ქმედების შედეგებს და ამჟამად, წერს გამოსამშვიდობებელ წერილებს, ანდერძს და ა.შ. დიაგნოზია: სიტუაციური რეაქცია“.

36. განმცხადებლის მიერ შიმშილობის გაგრძელების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ციხის ექიმმა ექიმის მიერ მისი კვირაში ორჯერ შემოწმების განკარგულება გასცა. განმცხადებელი უნდა აწონილიყო და მისი შარდის ანალიზი შემოწმებულიყო კეტონურ ნივთიერებებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას შიმშილობისას. იანვრის ბოლოს განმცხადებელმა საკვების მიღების გადაწყვეტილება მიიღო.

37. 1995 წლის მარტში ერთხელ „EEG“-ს სკანირება მოხდა განმცხადებლის ეპილეფსიაზე შესამოწმებლად.

38. 1995 წლის 1 მაისს ექიმმა მოინახულა განმცხადებელი, რადგან ეს უკანასკნელი ტკივილს უწიოდა წელის ქვედა არეში ექიმმა დაავალა მისთვის დამატებითი მატრასის მიცემა და ნეკროპათოლოგს დაუკავშირდა.

39. 1995 წლის 12 დეკემბერს განმცხადებელმა გადაწყვიტა შეეწვიტა იზოლირებულ პატიმრობაში ყოფნა. რომელშიც საკუთარი ნებით იმყოფებოდა 1995 წლის 28 ნოემბრიდან ამას გარდა, ის მოინახულა ექიმმა, რადგან განმცხადებელი მუშაობდა სამხარეულოში, ხოლო კოპენჰაგენის ცისის მთავარი მრჩეველის დირექტივის მიხედვით, პატიმრები, რომელთაც აწესებდათ, მაგალითად, მენტალური აშლილობა ან დევიანტური ქცევები, არ მიიღებოდნენ სამხარეულოში სამუშაოდ.

ზ. ურთიერთობა ექთნებთან

40. განმცხადებლის წინასწარი იზოლირებული პატიმრობის განმავლობაში, 1994 წლის 13 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე ექთნებმა მისი სამედიცინო შემოწმება ორმოცდასამჯერ განახორციელეს.

თ. განმცხადებლის საწინააღმდეგო სასამართლო პროცესი

41. მას შემდეგ, რაც 1995 წლის 28 ნოემბერს განმცხადებლის იზოლირებული პატიმრობის ზომა შეიცვალა სასამართლოს მიერ, მისი წინასწარი დაკავების ვადა 1996 წლის 14 მაისამდე რამდენჯერმე გაგრძელდა, სანამ უმაღლესმა სასამართლომ მას ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაული არ მოუხსნა. თუმცა განმცხადებლის აღიარებითი ჩვენების საფუძველზე, მას მიესაჯა 8-თვიანი პატიმრობა განსაკუთრებით დიდი ოდენობის გადასახადების თაყიდან არიდების ბრალდებით და დამატებით დაეკისრა 875000 DKK ოდენობის ჯარიმის გადახდა (ან ალტერნატიული სასჯელი – 60-დღიანი პატიმრობა).

42. საქალაქო სასამართლოს 1996 წლის 21 ივნისის განჩინებით, „მპ“, რომელიც ამჟამად ა.შ.შ.-შია ექსტრადირებული, და „პლ“ დამნაშავედ ცნეს კოკაინის კონტრაბანდაში.

I. კომპენსაციასთან დაკავშირებული პროცესი საქალაქო სასამართლოს წინაშე

43. 1996 წლის 12 ივლისს განმცხადებელმა მოითხოვა მატერიალური და არამატერიალური ზიანის ანაზღაურება სამართლებრივი ადმინისტრირების აქტის 1018¹ მუხლის მიხედვით, 1994 წლის 14 დეკემბრიდან 1996 წლის 14 მაისამდე პატიმრობაში ყოფნის გამო. მოთხოვნილი კომპენსაციის სრული ოდენობა შეადგენდა 19 მილიონ DKK-ზე მეტს. აქედან 10 მილიონი გათვლილი იყო მისი გრძნობებისა და რეპუტაციისათვის მიყენებულ ზიანზე. ამ უკანასკნელის არგუმენტაციისათვის დამკველმა მიუთითა უჩვეულოდ გრძელ, გაუმართლებელ წინასწარი დაკავების პერიოდზე, საქმის მიმართ პრესის მასობრივ ინტერესზე, იმ ფაქტზე, რომ განმცხადებელი იყო ცნობილი ადამიანი და ამ საქმემ, თავის მხრივ, განსაკუთრებით შეურაცხყო იგი. პირველად სარჩელი განიხილა პროკურატურამ, რის შემდეგაც ის 1997 წლის ივნისში გადაეცა საქალაქო სასამართლოს.

44. 1997 წლის 10 ივლისის წერილში დამკველმა განაცხადა, რომ ის ასევე აპირებდა კონვენციის მე-3 მუხლის მოხმობას და ამ მიზნით მოითხოვა ცნობა იურიდიულ-ფსიქიატრიული კლინიკიდან (*Retsspsykiatrisk Klinik*) განმცხადებლის მენტალური ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე, როგორც დაკავების განმავლობაში, ისე მის შემდგომ. 1997 წლის 18 სექტემბერს საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა და ანგარიშის წარდგენა მოხდა 1998 წლის 19 იანვარს, რომელიც, *inter alia*, ადგენდა:

„სუბიექტი არის 32 წლის მამაკაცი, რომელსაც არასოდეს ჰქონია ფსიქიკური აშლილობის ნიშნები სამი წლის წინა პერიოდამდე ის ასაღზარდობაში იყო კონკურსებში წარმატებული მოცურავე 1990 წლიდან ის დასაქმებული იყო საკუთარ ბიზნესში, რომელიც წარმატებულად ვითარდებოდა 1994 წელს მის დაპატიმრებამდე ის არასოდეს იღებდა ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ალკოჰოლს.

ამ გამოკვლევის დროს ის აღმოჩნდა ნორმალურიდან კარგი გონებრივი უნარის მქონე არ არსებობს საფუძველი იმ ვარაუდისათვის, რომ მას აწესებდა ეპილეფსია ან ტვინის სხვა ორგანული დაავადება. [განმცხადებელი] აცხადებს, რომ გამოძიებასთან დაკავშირებით იყო ცდომილებები და მას განდიდების მანია აწესებდა და შესაბამისად, არის იმედგაცრუებული და დადარღიანებული. იმდენად ნაკლებია მის მიერ რეალობის აღქმა, რომ მისი მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს როგორც ფსიქოზური მდგომარეობა. არ არის შესაძლებელი მისი დაავადების საბოლოო გარკვევა, მაგრამ, როგორც ჩანს, ის იტანჯება პარანოიდული ფსიქოზით მისი გათავისუფლების შემდეგ, ალბათ, ფსიქიკური მდგომარეობის გამო. მისი ცხოვრების გზა მნიშვნელოვნად შეცვალა სამოგზაურო, მოხეტიალე საქმიანობამ, რასაც გარკვეულწილად ახასიათებს ადამიანებთან ურთიერთობის შენარჩუნებისა და კონკრეტულ ადგილებზე მიჯაჭვის, დაფუძნების ნაკლებობა.

ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ [განმცხადებლის] ფსიქიკური აშლილობა უკავშირდება იმ პერიოდს, როდესაც იგი იზოლირებულ პატიმრობაში იმყოფებოდა. გარდა ამისა, [განმცხადებლის] განსაკუთრებული პიროვნების და მეტალური მგრძნობელობის მხედველობაში მიღების საფუძველზე შესაძლებელია, რომ მისი ავადმყოფობის დაწყება და განვითარება მიზეზობრივად არის დაკავშირებული მისი გრძელვადიან იზოლირებულ პატიმრობაში ყოფნასთან”.

45. დამატებით, სამედიცინო-იურიდიული საბჭოს (*Retslægerådet*) 1998 წლის 30 მარტის განცხადებები წარედგინა საქალაქო სასამართლოს. ამ უკანასკნელის თანახმად, *inter alia*

„... სამედიცინო-იურიდიული საბჭო აცხადებს, რომ სამი წლის წინა პერიოდამდე [განმცხადებელს] არ აღენიშნებოდა ფსიქოლოგიური თუ პიროვნული აშლილობის ნიშნები მას კარგი გონებრივი მდგომარეობა აქვს.

მისი წინასწარ იზოლირებულად დაკავების გაგრძელებული პერიოდის განმავლობაში 1994 წლიდან 1996 წლამდე მას განუყოფარდა ფსიქოზი, რომელიც ხასიათდება, კერძოდ, რეალობისა და დიდი მნიშვნელობის შეგრძნების დაკარგვით. ძნელია განისაზღვროს, თუ როდის განვითარდა ფსიქოზი წინასწარი დაკავების დროს. ფსიქიატრის ვიზიტისას 1995 წლის 18 იანვარს არ დადგენილა ფსიქოზის სიმპტომები. გამოვლინდა მხოლოდ „სიტუაციური რეაქცია“ და „შიმშილობა“. სასამართლო ფსიქიატრიული შემოწმებისას, რომელიც დასრულდა 1998 წლის იანვარში, როგორც კლინიკურმა ფსიქიატრიულმა შემოწმებამ, ასევე ფსიქოლოგიურმა შემოწმებამ, აჩვენა, რომ ის იყო ფსიქოზური ადამიანი. სავარაუდოდ, ის იტანჯებოდა პარანოიდული ფსიქოზით (ფსიქიკური აშლილობა ილუზიებით).

სამედიცინო-იურიდიული საბჭოს აზრით, ძალიან რთულია [განმცხადებლის ფსიქიკური დაავადების ზუსტი მიზეზის] დადგენა, მაგრამ გონივრული იქნება იმის ვარაუდი, რომ მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი ფსიქოლოგიური სტრესი, რაც, სავარაუდოდ, კავშირშია მის, როგორც „განსაკუთრებულ“ პიროვნებასთან, რომელიც ხასიათდება მგრძნობიარობით და მტკივნეულობით და რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მისი ფსიქიკური დაავადების პროგრესირებაზე იზოლირებული პატიმრობა იყო კონკრეტული და ძლიერი ფსიქოლოგიური სტრესი, მაგრამ ასევე სხვა გარემოებებმა, როგორებიცაა ბრალი და შესაბამისი ბრალდება, შეიძლება იმოქმედოს განმცხადებლის ფსიქოლოგიურ აშლილობაზე”.

მოგვიანებით, სამედიცინო-იურიდიულმა საბჭომ დაამატა:

„... საბჭო აბსოლუტურად საფუძვლიანად ადგენს, რომ ძირითადი დიაგნოზი არის პარანოიდული შიზოფრენია და არა ტრავმული სტრესის შემდგომი რეაქცია, რადგან მდგომარეობა არის ფსიქოზის მსგავსი. მაგრამ მძიმე მეტალური სტრესი არის ერთ-ერთი წინაპირობა როგორც [განმცხადებლის] ფსიქოზის განვითარების, ისე ტრავმის შემდგომი სტრესული რეაქციისა, ფსიქოზურ ნიშნებთან ერთად. [განმცხადებელი] გვიჩვენებს სიმპტომებს.

რომლებიც დამახასიათებელია ტრადიციული სტრუქტურის შემდგომი რეაქციისათვის (გადიზიანება, სიმძლავრის კონცენტრირება, ძლიერ დაკავშირებული სირთულეები, მოსვენებები, დეპრესიული ტენდენციები თავის მოკვლის ფიქრით).

.. საბჭოს არ შეუძლია შეაფასოს, ან გააკეთოს რაიმე განცხადება, თუ რამდენად არის ფსიქიკური აშლილობა მუდმივი”.

46. უფრო მეტიც, საწარმოო დაზიანებების ეროვნული საბჭოს (*Arbejdsskadestyrelsen*) 1998 წლის 3 აგვისტოს შეფასებაში ნათქვამია, რომ განმცხადებლის ქმედუნარიობის დონე და მისი მუშაობის უნარის დაკარგვა იყო ფსიქიკური დაავადების შედეგი. საბჭო ადგენდა, რომ განმცხადებლის ქმედუნარიობა უტოლდებოდა, დაახლოებით, 30%-ს და მან დაკარგა შრომისუნარიანობის 1/3.

47. საქალაქო სასამართლოს წინაშე მოსმენისას დაიკითხნენ განმცხადებელი და 15 მოწმე. მოწმეებს გამოჰკითხეს, თუ რა იცოდნენ განმცხადებლის შემოსავლის, მისი ბიზნესისა და საკუთრების შესახებ, ასევე მათ შეხედულებაზე განმცხადებლის შესახებ სისხლის სამართლის პროცესამდე, მის განმავლობაში და მის შემდეგ. არც ერთი ექიმი თუ ექთანი, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ განმცხადებელს წინასწარი იზოლირებული პატიმრობის დროს არ დაკითხულან საქალაქო სასამართლოს წინაშე განმცხადებლის ქმედებებთან დაკავშირებით, როგორც სისხლის სამართლის პროცესამდე, ისე მის შემდეგ. 1994 წლის 13 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე პერიოდის განმავლობაში, დაიკითხნენ შემდეგი მოწმეები:

48. განმცხადებლის დედამ, სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნა, რომ განმცხადებლისათვის წინასწარი დაკავების პერიოდი, როდესაც ის იზოლირებულ პატიმრობაში იმყოფებოდა, უარესი იყო მისი ჯანმრთელობისათვის. ამის შემდეგ ის უფრო ადამიანური გახდა და უფრო თანმიმდევრულად საუბრობდა. მისი იზოლირებული პატიმრობის განმავლობაში მან დაწერა უცნაური შინაარსის რამდენიმე წერილი, მათ შორის, ერთ-ერთი იყო იმის უცნაური წარმოდგენა, თუ როგორ მუშაობს სამყარო. ის დამცველს ესაუბრა ფსიქოლოგის გარედან შეყვანის თაობაზე, მაგრამ ეს საკმაოდ რთული დასარეგულირებელი აღმოჩნდა და შედეგი არ გამოიღო. მას შეუძლია აღწეროს განმცხადებელი დაკავებამდე და მის შემდეგ შემდეგნაირად: იგი იყო დინამიური, ენთუზიური და გახდა პირქუში და მიუვალი.

49. განმცხადებლის ბიძაშვილმა სხვა საკითხებთან ერთად განაცხადა, რომ განმცხადებელი გამოიყურებოდა ძალიან გაუბეჯერებლად და ზედმეტად დაკავებულად. ხშირად ის ებრალოდ ისმენდა. მას ასევე შეეცვალა გარეგნობა, მოუშვა წვერი და გახდა. დროის გასვლასთან ერთად განმცხადებელი ნელ-ნელა უკეთესი ხდებოდა, თითქმის მან სიმშვიდე იპოვა.

50. ციხის მღვდელი, სხვა საკითხებთან ერთად, ამბობდა, რომ განმცხადებელი დიდი ეჭრადლებით მოძრაობდა მიწაზე და პრაქტიკულად კედელ-კედელ დადიოდა. ის დადიოდა იმ ადამიანის მსგავსად, რომელსაც არასოდეს უფარჯიშია და გამოიყურებოდა მორიდებულად. განმცხადებელს სჭირდებოდა ვარჯიში, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური. მას ჰქონდა ძალაუფლების დაკარგვის ძლიერი შეგრძნება. განმცხადებელი განსხვავდებოდა სხვა მესაკნენებისაგან როგორც უცხო ადამიანი, რომელსაც შეუძლო ასე ეფიქრა და ესაუბრა იმაზე, რასაც ფიქრობდა და რომელიც ჯერ არ იყო სულიერად გატეხილი. მღვდელმა აღნიშნა, რომ ზოგადად იზოლირებულ პატიმრობაში, ადამიანები კარგავენ კონცენტრაციას. ასევე მოხდა განმცხადებლის შემთხვევაში. განმცხადებელი მხიარულობდა და სტიმული ენიჭებოდა მაშინ, როდესაც მღვდელთან მიდიოდა მოსანახულებლად, მაგრამ კონსულტაციების დროის ამოწურვა ძალიან რთული იყო, რადგან განმცხადებელი მუდმივად პოულობდა ახალ საგნებს და იცოდა რა საკითხები აინტერესებდა მღვდელს.

51. ციხის მასწავლებელი აცხადებდა, რომ განმცხადებელი პირველი დღიდან სასოწარკვეთილად გამოიყურებოდა. შესაბამისად, ის მორჩილი ჩანდა. მის საინდექსო ბარათზე 1995 წლის 18 სექტემბერს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ იგი უფრო და უფრო სასოწარკვეთილად გამოიყურებოდა. გაუარესდა განმცხადებლის ფიზიკური მდგომარეობა. ის დაუდეგარი გახდა როგორც ნაცმის, ისე ჰიგიენის თაველსაზრისით. განმცხადებელი ბევრს კითხულობდა, თუმცა გართულებები ჰქონდა კონცენტრაციასთან დაკავშირებით.

52. პოლიტიკის ოფიცერმა „ჯლ“-მ, რომელიც იძიებდა განმცხადებლის საქმეს და ზედამხედველობის მიზნით სისტემატურად მიდიოდა მასთან, განაცხადა, რომ განმცხადებლის ფსიქოლოგიური მდგომარეობა იგივე იყო დამცველის წინაშე დაკითხვის, თუ ვიზიტების მიღების დროს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში განმცხადებელმა ამოაბრუნა თავისი სპორტული ჟაკეტი, რადგან არ სურდა სხვების მსგავსი ყოფილიყო. მას მარტოობა უნდოდა

53. საქალაქო სასამართლოს წინაშე მოსმენების განმავლობაში განმცხადებელმა დააყენა კომპენსაციის მოთხოვნა 22,556,334 დანიური კრონის ოდენობით. 1998 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით საქალაქო სასამართლომ მას მისცა კომპენსაცია 790,475 დანიური კრონის ოდენობით და, *inter alia*, განაცხადა;... უზენაესი სასამართლოს მიერ 1996 წლის 14 მაისს მიღებულ ვერდიქტში არსებული მტკიცებულებების და პროცესის განმავლობაში მიღებული მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლო დადგენილად ცნობს, რომ შეთანხმება „შელგა „პლ“-სა და „მპ“-ს შორის ბრაზილიიდან დანიაში კოკაინის კონტრაბანდის თაობაზე; კოკაინი უნდა დამალულიყო ხილის (პაპაიას) ტვირთში. შესაბამისად, ბრაზილიაში „მპ“-მ კოკაინი მწვანე პაპაიას ჩაღის ყუთში მოათავსა; იმპორტი უნდა განხორციელებულიყო იმ ფირმის მეშვეობით ... რომლითაც [განმცხადებელი] უკვეთდა ხილს. თუმცა „პლ“-მ მოატყუა განმცხადებელი, დაეარსებინა ... ჯანმრთელობის დაცვის ფირმა, შეეკვეთა პაპაია იმ ფირმის მეშვეობით და განეცხადებინა, რომ ეს იმპორტი ბრილიანტების კონტრაბანდის დასაფარად კეთდებოდა, მაშინ როცა ის კოკაინით იყო დაინტერესებული. [პაპაიას] ჩამოტანის შემდეგ მდგომარეობა გართულდა, რადგან აღმოჩნდა კოკაინის კონტრაბანდი.

[განმცხადებელმა] ინიციატივა გამოიჩინა ჯანმრთელი პროდუქციის სახით პაპაიას იმპორტის პოტენციურ კომერციულ გამოყენებაში და ა.შ.

სასამართლო აღგენს, რომ [განმცხადებელმა] მნიშვნელოვანი გულგრილობა გამოიჩინა „პლ“-სთვის ბრილიანტების კონტრაბანდაზე შეთანხმებით. მან იცოდა, რომ „პლ“ ძვირფასი ქვების კარგი მცოდნე იყო, მაგრამ მათი ნაცნობობა ძალიან მოკლევადიანი იყო და მცდელობა, დაეჯერებინა, რომ პლ-ს კრიმინალური ზრახვები შემოიფარგლებოდა მხოლოდ ბრილიანტების კონტრაბანდით არ იყო დამაჯერებელი. პლ-ს მოკლე განცხადება აპლიკანტთან, რომ ერთ დროს ის ცდილობდა კოკაინის კონტრაბანდას, ფიგურირებს, მაგრამ მას არ გააჩნია დიდი მნიშვნელობა და მტკიცებულებების შეფასებასთან იგი არ უნდა შეფასდეს.

... [მის წინაშე არსებულ] მტკიცებულებებში სასამართლო აღგენს, რომ [განმცხადებელმა] მას შემდეგ გადაწყვიტა ჯანმრთელობის ფირმის დაარსება, რაც ის და „პლ“ შეთანხმდნენ ბრაზილიიდან პაპაიას ტვირთით ბრილიანტების კონტრაბანდის შემოტანაზე. მტკიცებულებების მიხედვით, არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ [განმცხადებელი] ასევე აპირებდა [ჯანმრთელობის ფირმიდან] მოგების მიღებას. თუმცა კოკაინის აღმოჩენასთან დაკავშირებით განმცხადებლის ცოდნის და ზოგადად პოლიტიკის დაკითხვების მხედველობაში მიღების საფუძველზე სასამართლო აღგენს, რომ [განმცხადებელს] უნდა სცოდნოდა, რომ პოლიტიკის საგამომიებო თეორია [ჯანმრთელობის ფირმის დაარსებასთან დაკავშირებით] არის ის, რომ ეს ორგანიზაცია მხოლოდ კოკაინის იმპორტის დასაფარად არსებობდა და ჯანსაღი პროდუქციის, კერძოდ, პაპაიას გაყიდვიდან მიღებული მოგება საკმაოდ უმნიშვნელო იყო. ასევე სასამართლო აღნიშნავს, რომ [განმცხადებლის] ფირმის დაარსების ერთობ ექსპერიმენტული/იმპულსური გზა აძლიერებს პოლიტიკის ვარაუდს და განმცხადებელს ეს უნდა გაეთავისწინებინა.

1994 წლის 26 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც პოლიციამ აღმოაჩინა კოკაინი და პრესამ საჯაროდ გააშუქა აღნიშნული ფაქტი, მაგრამ მის დაპატიმრებამდე [განმცხადებელმა] არჩია „პლ“-სთან ერთად გაეკეთებინა მცდარი განცხადება პაპაიას იმპორტის საფუძველთან დაკავშირებით, ... [ისტორია „რს“-ს და „რბ“-ს შესახებ], რომელსაც თან სდევდა შექმნილი დღიურის აღნიშვნები. [განმცხადებელი] აცხადებს, რომ ის „პლ“-ს მედმივად ეკითხებოდა, იცოდა თუ არა მან კოკაინის არსებობის შესახებ. მიუხედავად „პლ“-ს უარისა, [განმცხადებელი] ამ ეტაპზე მაინც უნდა მიმხედარიყო მნიშვნელოვან ტყუილს.

[განმცხადებლის] დაპატიმრება მოხდა 1994 წლის 13 დეკემბერს. მან არ შეცვალა თავისი ჩვენება 1995 წლის 26 სექტემბრამდე, სანამ [პოლიციასთან] დაკითხვის დროს მან არ თქვა ბრილიანტების დაგეგმილი კონტრაბანდის შესახებ. ეს განაცხადი განმეორდა 1995 წლის

28 და 30 ნოემბერს სასამართლოს წინაშე მოსმენისას იზოლირებული პატიმრობა შეწყდა სასამართლო მოსმენაზე 1995 წლის 28 ნოემბერს.

შესაბამისად, სასამართლო აღგენს, რომ [განმცხადებელმა] გამოსატყვევებელი მნიშვნელოვანი გულგრილობა მისი დამატებული ქცევით, როდესაც ცდილობდა თავიდან ექვის მოშორებას, ნაწილობრივ ბრილიანტების კონტრაბანდაში ჩართულობით და კვალის დასაფარი ისტორიის მოგონებით, და ასევე იმის გაცნობიერებით, რომ მან მოკვლენების განვითარებით 1995 წლის შემოდგომაზე თვითონ შეუწყო ხელი ექვის გახენას მისი განცხადებების სისწორეში [უზენაესი სასამართლოს 1996 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება წინასწარი დაკავების გაგრძელების თაობაზე].

სასამართლო აღგენს, რომ გამოსატყვევებელი გულგრილობით [განმცხადებელმა] თავად გამოიწვია კომპენსაციის უფლების ჩამორთმევა იმ ზიანისათვის, რაც მას მიადგა დაპატიმრებით და წინასწარი პატიმრობით...

სამედიცინო-იურიდიული საბჭოს მოსაზრების მიხედვით, სასამართლო აღგენს, რომ განმცხადებელს არ აღენიშნებოდა ფსიქოლოგიური, თუ პიროვნული აშლილობა [დაპატიმრებამდე], მაგრამ გაგრძელებული წინასწარი, იზოლირებული პატიმრობის განმავლობაში მას განუვითარდა ფსიქოზი, რომელიც ხასიათდებოდა რეალობის შეგრძნების დაქვეითებით, მითითებების ილუზიებით, ისევე როგორც გამოძიების მოლოდინით და დიდმნიშვნელოვნობით. ძნელია ზუსტი დროის განსაზღვრა, თუ როდის განუვითარდა განმცხადებელს ფსიქოზი, რადგან ფსიქიატრმა, რომელმაც ის 1995 წლის 18 იანვარს მოინახულა, აღმოაჩინა არა ფსიქოზის სიმპტომები, არამედ „სიტუაციური რეაქციისა“ და შიმშილობის კვალი მაშინ, როცა სასამართლო ფსიქიატრიული შემოწმებისას, რომელიც დასრულდა 1998 წელს, დადგინდა, რომ [განმცხადებელი] იყო ფსიქოზური და სავარაუდოდ, იტანჯებოდა პარანოიდული ფსიქოზით (ფსიქიკური აშლილობა ილუზიებით)...

განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და ზოგადად, პასუხისმგებლობის საფუძველზე:

... ზოგადად, ნებისმიერი სახის თავისუფლების აღკვეთა იწვევს ჩართული პირის დაძაბულობას. მსგავსი დაძაბულობა უფრო მეტად აშკარავდება წინასწარი დაკავებისას იზოლირებულ პატიმრობაში, რომელიც მოიცავს სხვა პატიმრებთან ასოციაციის აბსოლუტურ გამორიცხვას და ვიზიტების შეზღუდვას, მეთვალყურეობის ქვეშ. ზოგიერთ შემთხვევაში მსგავსმა დაძაბულობამ შეიძლება კონკრეტულ ინდივიდთან მიმართებით დაადასტუროს, რომ შეიძლება აღვილი პქონდეს ზოგადად გათვალისწინებულისგან და კანონმდებლის მიერ ნაგულისხმებისგან განსხვავებულ შედეგებს ინდივიდის ფსიქოლოგიური მომზადების და ზოგადად სასიცოცხლო სიტუაციიდან გამომდინარე.

გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ კანონმდებელი იზოლირებულ პატიმრობას მნიშვნელოვნად მიიჩნევს გამოძიების მიზნებისათვის, კერძოდ, მძიმე დანაშაულების შემთხვევაში, რომელიც ჩადენილია ადამიანების ორგანიზებულად მოქმედი ჯგუფის მიერ, რომელშიც საქმის გარკვევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პირთა ერთმანეთთან ურთიერთობასა და განცხადებების დუმილით პარამონიზების შესაძლებლობის ნაკლებობაზე.

იმისათვის, რომ დაეცვა ბალანსი დაკავებულის ინტერესებსა და საზოგადოების ინტერესს შორის, დანაშაულის გამოძიების თაობაზე კანონმდებელმა გაწერა დებულებები იზოლირებული პატიმრობის შესახებ. ესენია: სამართლის ადმინისტრირების აქტის 770^o და 770^o ნაწილები. ამდენად, იზოლირებული პატიმრობის ვადები შეზღუდულია რვა კვირამდე [იმ შემთხვევების გარდა], როდესაც დანაშაულით გამოწვეული ბრალი კანონით ისჯება ექვსი წლით ან მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთით, რომელიც არ ექვემდებარება დროის რაიმე სახით შეზღუდვას. [განმცხადებლის] წინააღმდეგ წაყენებული ბრალი ნარკოტიკულ ნივთიერებებთან დაკავშირებული დანაშაულისათვის, სისხლის სამართლის კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად, აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. 770^o ნაწილის მიხედვით, სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად შეიძლება შეიცვალოს იზოლირებული პატიმრობა სხვა ნაკლებად რადიკალური ზომით და მათ ასევე უნდა უზრუნველყონ ის, რომ გამოყენებული ზომა იყოს პროპორციული საქმის მნიშვნელობასთან და იმ სანქციასთან მიმართებით, რომელიც,

საკარაულოდ უნდა გამოყენებულ იქნეს, თუ ჩართული პირის დანაშაული დამტკიცდება ამავე დროს, ამ დებულების მიხედვით, სასამართლომ იზოლირებული პატიმრობის შეფარდებისას „მხედველობაში უნდა მიიღოს განსაკუთრებული პოტენციური სტრესი მისი ახალგაზრდობის ფიზიკური, თუ ფსიქოლოგიური სისუსტეების გამო“

სასამართლოს შეხედულებით, კანონმდებელმა იზოლირებული პატიმრობის შემოღებისას გაითვალისწინა, ყველაზე ცუდ შეთხვევაში, რა განუზრახველი ზიანი შეიძლება მოუტანოს პირს აღნიშნულმა საჩქიამ მისი ფსიქოლოგიური სისუსტის გამო. ამის დარღვევების მცდელობა არის ვალდებულების დაკისრება ციხისა და პრიბაციის სამსახურის პერსონალისათვის (*kriminalforsorgens personale*), ისევე როგორც, ციხის ექიმისათვის, იცოდეს ყველა სახიფათო სიგნალის შესახებ, რომლის მიხედვითაც შეიძლება საჭირო გახდეს ფსიქიატრის მონიტორინგის ჩართვა.

სამედიცინო მონიტორინგის საკითხის დასმა შეიძლება მოხდეს ნებისმიერი ადამიანისგან, რომელსაც ურთიერთობა აქვს დაკავებულთან, მათ შორის დამცველისგან, ისევე როგორც ამისი უფლება აქვს თვითონ დაკავებულს და ციხის პერსონალს ასეთ შემთხვევაში, საქმის განმხილველმა მოსამართლემ, რომელიც პასუხისმგებელია წინასწარი იზოლირებული პატიმრობის ვადის გაგრძელებაზე, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რამდენად იძლევა გამოძიებაში ჩართული საზოგადოების ინტერესი ბრალდებული პირის ფსიქოლოგიური კეთილდღეობის გამოყენებას, კონკრეტულად მაშინ, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მუდმივი ფსიქოლოგიური ზიანი.

სასამართლოს საქმეა შეამოწმოს და გამოიყენოს კანონის დებულებები კანონის ზოგად პრინციპებთან შედარებით, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში დაცული პრინციპები .. როგორც ეს ინკორპორირებულია დანიის 1992 წლის 29 აპრილის № 285-ე აქტში.

ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი ადგენს, რომ „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, ან არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს“. კონვენციის მე-5 მუხლი არეგულირებს იმ სიტუაციებს, რომლებშიც პირს, გამონაკლის შემთხვევებში, შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება.

[განმცხადებლის] წინასწარი დაკავების თაობაზე ბრძანება გაიცა სხვებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით და გაქცევის რისკიდან გამომდინარე; იზოლირებული პატიმრობა გამოწვეულ იქნა სხვებზე ზეგავლენის მოხდენის რისკის გამო.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, გადაწყვეტილება, თუ რამდენად მოხდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დამოკიდებულია საქმის გარემოებების განსაკუთრებულ შეფასებაზე, კერძოდ კი იზოლირებული პატიმრობის სიმკაცრეზე, მის განგრძობითობაზე, იზოლირებული პატიმრობის მიზანზე და მესაკნის ჯანმრთელობაზე მოხდენილ ეფექტზე. საქმის განსაკუთრებულ ელემენტებთან ერთად სასამართლომ გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის (CCPR), გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CAT) და ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) შეფასებები, დანიაში იზოლირებული პატიმრობის გარემოებებთან დაკავშირებით, ისევე როგორც ეროვნული განხილვები, ყველაზე ბოლო ანგარიშში (*betænkning*) №1358/1998 წინასწარ დაკავებაზე იზოლირებულ პატიმრობაში...

სასამართლო ადგენს, რომ წინასწარი დაკავება იზოლირებულ პატიმრობაში და შესაბამისი ნორმალური წინასწარი დაკავება არ მოიცავს კონვენციის მე-3 მუხლის რაიმე ფორმით დარღვევას მისი ხანგრძლივობის, ფორმისა თუ გარემოებების გათვალისწინებით საეჭვო დანაშაულთან მიმართებით. იგივე შეეხება პატიმრობის შედეგს [განმცხადებლის] ჯანმრთელობაზე.

თუმცა სასამართლო ადგენს, რომ წინასწარ დაკავებას იზოლირებულ პატიმრობაში ჰქონდა ფსიქოლოგიური შედეგობრივი ეფექტი [განმცხადებლის მდგომარეობაზე და ის] გამოვლინდა ისეთ გარემოებაში, როგორიცაა მთავრობის პასუხისმგებლობა [შემდეგი მიზეზების გამო]:

უნდა ვივარაუდოთ, რომ თუნდაც ადამიანური ცვლილებების დადგენის შემთხვევაში, მაგალითად, როგორიცაა მონიტორინგის ნაკლებობა, შეიძლება წარმოიქმნას ისეთი ინციდენტები, როგორიცაა დაკავებულებისათვის ფსიქოლოგიური ზიანის მიყენება, რაც მნიშვნელოვან დონეზე გამოიწვია წინასწარმა დაკავებამ [როგორც ნორმალური, წინასწარ განსაზღვრული ფსიქოლოგიური ეფექტის განვითარების საწინააღმდეგო] და რომელიც შეიძლება გამოიწვევდეს იქნეს ჩვეულებრივი ადმინისტრაციული განაკვეთით, რომელიც დადგენილია არაშეტყუილური ზიანის ასანახადურებლად.

წინამდებარე საქმეში სამედიცინო განცხადებების მისეულით სასამართლო აღგენს, რომ [განმცხადებელი] იტანჯებოდა პარანოიდული ფსიქოზით (ფსიქიკური აშლილობა ილუზიებით) და ტრავმული დამაბული რეაქციით, რაც გამოიწვია წინასწარმა დაკავებამ.

საჯარო ხელისუფლებას აქვს დაკავებულებზე ზრუნვის განსაკუთრებული ვალდებულება, რის დარღვევაც იწვევს კომპენსაციის ვალდებულებას. იზოლირებულ პატიმრობასთან დაკავშირებით სასამართლო აღგენს, რომ საჯარო ხელისუფლებას უნდა დაეკისროს ბრალეულობის დიდი ნაწილი.

გარემომცხოვრებთათვის შეიძლება ძნელია პარანოიდული ფსიქოზის ნიშნების დადგენა. თუმცა [განმცხადებლის] მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, კლავსტროფობიის და მისი თვითმკვლელობის მცდელობის თაობაზე, რამაც გამოიწვია მისი მოთავსება გამოსაკვლევ საკანში, სასამართლო აღგენს, რომ შესაძლებელია [განმცხადებელი] დაკავების მომენტშიც იქცეოდა იმგვარად, რომ საფუძველს იძლეოდა უფრო მეტი გამოკვლევისთვის. ვიდრე [განმცხადებლის] ფსიქიკური განვითარების დასაკვირვებლად ჩატარდა 1995 წელს, მის მიერ შიმშილობის დაწყების შემდეგ. სასამართლო აღგენს, რომ საჯარო ხელისუფლებას ეკისრება მტკიცების პასუხისმგებლობა იმის თაობაზე, რომ ზემოთ აღნიშნულ გარემოებებს არ ჰქონია გავლენა განმცხადებლის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ამდენად, სასამართლო აღგენს, რომ ფსიქიკური ტრავმის მნიშვნელოვანი ნაწილის თავიდან არიდება შესაძლებელი იქნებოდა უფრო ღებალური გამოკვლევის სატარების შემთხვევაში და სასამართლოებს, [ნათარეს რა მსგავსი გამოკვლევა] (მუდმივი) ზიანის რისკის გამოძიების ინტერესების საწინააღმდეგო უნდა ჰქონოდათ დაბალანსების შესაძლებლობა. სამართლის ადმინისტრირების აქტის 770⁶ ნაწილი.

ი. პროცესი კომპენსაციის თაობაზე უმაღლესი სასამართლოს წინაშე

54. როგორც განმცხადებელმა, ისე პროკურორმა, გაახანოვრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება აღმოსავლეთ დანიის უმაღლეს სასამართლოში.

55. 1998 წლის 5 ოქტომბერს უმაღლესმა სასამართლომ მიიღო წერილი, რომელიც მოიცავდა ექთნების მიერ განმცხადებლის შემოწმებას 1994 წლის 13 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე, იზოლირებული პატიმრობის განმავლობაში. ამდენად, 43 სამედიცინო შემოწმების საფუძველზე, რომელიც ექთნების მიერ იყო ჩატარებული, მთავარი ექთანი, *inter alia*, აცხადებდა:

„ექთნების ჩანაწერების არც ერთი შემთხვევიდან, როდესაც ისინი განმცხადებელს ამოწმებდნენ, ჩანს ეჭვი იმის თაობაზე, რომ [განმცხადებელს] უვითარებოდა პარანოიდული ფსიქოზი. ექთნების არსებული საფუძვლის გათვალისწინებით, როგორც ციხის სამსახურში, ასევე ფსიქიატრიულ სისტემაში, უნდა ვიფიქროთ, რომ მოსალოდნელი იყო, იმ ექთნებს, რომლებიც ახდენდნენ შემოწმებას, უნდა შეემოწმებინათ, ხდებოდა თუ არა ფსიქოზის მსგავსი მდგომარეობის განვითარება. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ექთნების ვიზიტები სამხრეთის ფრთაზე, [სადაც განმცხადებელი იყო მოთავსებული], შესრულდა სამხრეთის ფრთის „მუდმივი ექთნების“ მიერ, რომლებსაც, [მათი მხრივ], ჰქონდათ ფსიქიკური მდგომარეობის ცვლილებების დაკვირვების შესაძლებლობა“.

56. ექთნების ხელმძღვანელმა ასევე უმაღლესი სასამართლოს წინაშე ჩვენებაში აღწერა და განმარტა ის რეგინა და დაკვირვებები, რომლებსაც ციხის ექთნები აწარმოებენ და დააფიქსირა, რომ განმცხადებელმა მხოლოდ ერთხელ მისცა დაკვების საფუძველი, რაც

დილის კონფერენციაზე განიხილეს, კერძოდ, მაშინ, როცა ის შიმშილობდა. სხვა მხრივ, ის მინეული იყო „სასიამოვნო საუბრის მოყვარულ“ პირად.

57. იგივე ანგარიში წარადგინეს ექიმებმა. შესაბამის დროს ჩატარებული იყო 27 სამედიცინო შემოწმება. 1998 წლის 2 ოქტომბრის წერილში კოპენჰაგენის ციხის მთავარმა კონსულტანტმა, რომელიც არის შიდა მედიცინის სპეციალისტი და გასტროენტეროლოგი, *inter alia* დაადგინა,

„რომ [განმცხადებელი] არც ერთ სტადიაზე არ ყოფილა შემწეული როგორც ფსიქიკური დაავადების მქონე. როგორც ამას სასამართლო აღგენს იზოლირებული პატიმრობის თანმდევი საზიანო ეფექტად.

რომ არც ერთ ეტაპზე [განმცხადებელი] არ მინეული ზღვარზე მეტ ფსიქოტიპად, რომ არაფერი ეთქვათ ფსიქოზურ ტიპზე (ამდენად, არ იტანჯებოდა არც პარანოიდული ფსიქოზით).

რომ 1995 წლის 18 იანვარს ფსიქიატრის მიერ [განმცხადებლის] შეფასება ჩატარდა ადმინისტრაციული მიზეზებიდან გამომდინარე, მხოლოდ მის მოკლევადიან უარზე ჭამასთან დაკავშირებით, რამაც გარკვეული გართულებები გამოიწვია (ეს არ იყო სრული შიმშილობა, რადგან [განმცხადებელი] სვამდა წველებს. ფსიქიატრიული შემოწმება არ ჩატარებულა ფსიქიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით ციხის ექიმის ეჭვის საფუძველზე, რადგან არც ციხის ნორმალურ ექიმს და კონკრეტულად, ფსიქიატრს არ მიუწვევიათ ცვლილება [განმცხადებლის ფსიქიკური მდგომარეობის] აღსანიშნავად ან თუნდაც ფსიქიკურად შემოწმებლად. [ამის ნაცვლად] ფსიქიატრმა გააკეთა ზეპირი ადმინისტრაციული შეფასება იმის დასადასტურებლად, რომ [განმცხადებელი] კომპეტენტური იყო [სიტუაციის აღქმის თვალსაზრისით] კვებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით“.

58. მთავარი კონსულტანტი ეჭვის ქვეშ არ აყენებს იმ ფაქტს, რომ განმცხადებელი აღმოჩნდა ფსიქოტური 1997 წლის 8 დეკემბრიდან 1998 წლის 19 იანვრამდე ჩატარებული ფსიქიატრიული გამოკვლევის დროს, მაგრამ საზგასმით აღნიშნავს, რომ განმცხადებელი არ აღმოჩნდა მნიშვნელოვნად ფსიქიკურად დაავადებული, ზღვარზე მეტ ფსიქოტური, თუ ფსიქოტური ტიპი მისი დაკავების პერიოდში 1993 წლის დეკემბრიდან 1996 წლის 14 მაისამდე. არც ერთ კვალიფიციურ და კარგად გაწვრთნილ ექიმსა თუ ექთანს, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ მის მდგომარეობას, არ შეუნიშნავთ განმცხადებელში რაიმე სახის ფსიქიკური აშლილობა. მან აღნიშნა, რომ მიმაგრებულ ექიმებსა თუ ექთნებს დიდი გამოცდილება ჰქონდათ იზოლირებულ პატიმრობაში მეოფი პირების გამოკვლევისა და მათ კარგად იცინ, თუ რა სასიგნალო ნიშნებს უნდა მიაქციონ ყურადღება ფსიქიკური აშლილობისას ასეთი პატიმრების შემოწმების შემთხვევაში. შესაბამისად, მთავარი კონსულტანტის აზრით, არ შეიძლება დადგინდეს, რომ ფსიქიკური აშლილობა, რომელიც დადგინდა განმცხადებლის დაკავებიდან მისი წელიწადნახევრის შემდეგ ჩატარებული შემოწმებისას, სინამდვილეში დაიწყო დასავლეთის ციხეში მისი დაკავების განმავლობაში.

59. მთავარმა კონსულტანტმა ასევე წარმოადგინა ზოგადი ანგარიში დაკავებულებთან მისი ვიზიტებისა და შეფასებების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ ამის აუცილებლობა შეიძლება დადგეს დამცველის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში. ამ თვალსაზრისით, წერილი აღგენდა შემდეგს:

„[განმცხადებელთან] დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ციხისა და პრობაციის სამსახურის ექიმებს არ მიუღიათ განმცხადებლის დამცველებისა და პროკურორებისაგან რაიმე სახის მოთხოვნის დოკუმენტი დაკავების პერიოდთან დაკავშირებით, გარდა პირველი დამცველის მიერ 1995 წლის 18 იანვარს და 1995 წლის 21 ივნისს შეტანილი წერილებისა.

1995 წლის 18 იანვრის წერილში [პირველი დამცველი] აცხადებდა, რომ განმცხადებელი ძალიან დეპრესიულად გამოიყურებოდა და მან სთხოვა ექიმს მისთვის ყურადღება მიექცია. პირველ დამცველს არ მიუღია საპასუხო წერილი, რადგან მას ასეთი არ მოუთხოვია და რადგან მან მიუთითა წერილში, რომ განმცხადებლისათვის არ ეცნობებინათ აღნიშნული წერილის თაობაზე (სხვა მსგავს საკითხებზე, რომლებიც მოითხოვდნენ პასუხის გაცემას,

საჭირო იყო განმცხადებლის თანხმობა. მაგრამ წერილი განმცხადებლის ინფორმირების და მისი თანხმობის გარეშე იყო გაგზავნილი). მაგრამ პასუხის გაუგზავნელობის ყველაზე დიდი მიზეზი იყო სამედიცინო შემოწმების შედეგი, რომლითაც განმცხადებელი არ აღმოჩნდა დეპრესიულ მდგომარეობაში. მათ შორის, იყო 1995 წლის 18 იანვარს ჩატარებული ფსიქიატრიული შეფასების შედეგებიც. ამ უკანასკნელის დადასტურების შემთხვევაში, საპასუხო წერილი აუცილებლად გაეგზავნებოდა მის პირველ დამცველს. შესაძლებელია, [განმცხადებლის] განსაკუთრებული (ინფორმირებული) თანხმობის გარეშე, და ... ასევე ციხის ექიმისგან სასამართლო ინსტანციების მიმართ ციხისა და პრობაციის სამსახურების მეშვეობით.

1995 წლის 21 ივნისის წერილში [მეორე დამცველი] ითხოვდა, რომ [განმცხადებლისათვის] მიეცათ ბალახეული წამლები.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, [ორ დამცველს] არც ზეპირად, არც ტელეფონით და არც წერილობით არ ეცნობათ განმცხადებლის მდგომარეობაში აღმოჩენილი რაიმე გადახრის არსებობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სავარაუდოდ [მეორე დამცველი] და [ციხისა და პრობაციის სამსახურის] ექიმები შედარებით ურთიერთობენ როგორც პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობასა და მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ რთულ გარემოებებთან დაკავშირებით, ასევე სასამართლო ზომებთან [როგორცაა იზოლირებული პატიმრობა] მიმართებით. [ციხისა და პრობაციის სამსახურის] ექიმები ხიამოვნებით მიიღებენ შეტყობინებებს ნებისმიერი ადამიანისაგან (მათ შორის, სკოლის მასწავლებლების, რელიგიური წინამძღოლების და ა.შ. როგორც [ციხისა და პრობაციის სამსახურის] შიგნით, ისე მის გარეთ, რომ არაფერი ვთქვათ განმცხადებელზე). მიუხედავად შეტყობინების ხასიათისა და ინფორმაციისა, რომელსაც ის შეიცავს, რადგან სხვა საკითხების თანაბრად, მსგავსი შეტყობინებები ექიმებს აძლევენ მეტ შესაძლებლობებს, შეასრულონ თავიანთი საქმე უკეთ, სასამართლოს მიერ პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაძლო საუკეთესო მდგომარეობის შენარჩუნების დაეაღების შესაბამისად”.

60. მთავარი კონსულტანტი მოწმის სახით დაიკითხა უმაღლესი სასამართლოს წინაშე. მან უფრო ზოგადი ტერმინებით აღწერა ციხის ექიმების რეჟინა და იზოლირებულ პატიმრობაში გრძელი ვადით მყოფ პირებზე ფოკუსირებული ყურადღება. მან ასევე უფრო ვრცლად აღწერა განმცხადებელთან დაკავშირებით სამედიცინო ჩანაწერებში არსებული აღნიშვნები.

61. განმცხადებლის საქმე განხილულ იქნა დღის კონფერენციაზე ექიმებს შორის. მოწმეს თვითონ არასოდეს უნახავს განმცხადებელი. არ არსებობდა რაიმე ნიშანი, რომელიც დაადასტურებდა, რომ განმცხადებელი იყო იზოლაციის სინდრომის საწყის ეტაპზე. ამ სინდრომის სიმპტომებია სირთულეები კონცენტრაციისას, ძილთან დაკავშირებული პრობლემები, დროისა და ადგილის შემაწუხებელი აღქმა, სენსორული იმპულსების შემაწუხებელი ინტერპრეტაცია, დეპრესია, თვითშეფასების დაქვეითება და ამის განცდა, ნერვული შეტევები, გარემოცვის მიმართ ინტერესის დაქვეითება. ეს შეიძლება გადაიხარდოს ზღვარზე მეოფ ფსიქოზში. რომლის სიმპტომებიც არის ილუზია/პარანოია, არარეალუბის შეგრძნება და აქტიურ ფსიქოზში. როდესაც ექიმი შენიშნავს იზოლაციის სინდრომის საწყის ეტაპს, ის ამის შესახებ აცნობებს ციხის მენეჯმენტს იმის გათვალისწინებით, რომ ეს შეტყობინება უნდა გაეგზავნოთ პროკურორს და დამცველს. მაგალითად, 1998 წელს მოწმემ მსგავსი წერილი დაწერა ოცდათორმეტჯერ. მან არ იცოდა ზუსტად რამდენი ასეთი წერილი დაწერა 1995 წელს. მაგრამ ამ მხრივ, მას 1992 წლიდან არ შეუცვლია პრაქტიკა.

62. რაც შეეხება 1995 წლის 17 იანვარს გაკეთებულ სამედიცინო აღნიშვნებს, როდესაც განმცხადებელი შიმშილობდა, კონსულტანტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ექიმები ყოველთვის აფასებენ, თუ ფსიქოლოგიურად რამდენად კომპეტენტურია ადამიანი და ესმის თუ არა ის შედეგები, რაც შეიძლება მოეყვას მის გადაწყვეტილებას შიმშილობის თაობაზე და ყველა ექიმს აქვს გავლილი ტრენინგი ფსიქიატრიაში. ის განმცხადებლის გადაწყვეტილებას შიმშილობის თაობაზე უფრო მეტად საკვებზე უარის თქმას დაარქმევდა, რადგან ის სვამდა ძალიან ბევრ წყალს და წვენებს, რაც შეიცავს დიდი ოდენობით კალორიებსა და საკვებ ღირებულებებს. სამედიცინო აქტის (*Lægeloven*) მიხედვით, ექიმებს არ აქვთ უფლება კომპეტენტურ ადამიანს იძულებით შეაწყვეტინონ შიმშილობა. მან უნდა სცადოს მიიღოს პატიმრის თანხმობა

მკერნალობაზე მისი დასკვნების შემდგომ განმცხადებელმა ასეთი თანხმობა არ მისცა. ძალის გამოყენება შეიძლება მხოლოდ ფსიქიკურად დაავადებული ადამიანის წინააღმდეგ.

63. რაც შეეხება 1995 წლის 18 იანვრის შემოწმებას, მოწმემ, *inter alia*, განაცხადა, რომ დადგენილის მისევედით, განმცხადებელი იტანჯებოდა სიტუაციური რეაქციით, რაც ემართება ძალიან ბევრ ახალ პატიმარს. დასავლეთის ციხისათვის უცხო არ არის პატიმრების სურვილი შიმშილობის დაწყების თაობაზე. განმცხადებელი არ იყო ფსიქიკური დაზიანების საფრთხის ქვეშ, მაგრამ დროთა განმავლობაში შეიძლებოდა დაქვემდებარებოდა ფსიქიკურ ზიანს ამდენად, გრძელდებოდა განმცხადებლის უშუალო შემოწმებები.

64. კოპენჰაგენის ციხის დირექტორმა წარადგინა მისი ანგარიში უმაღლესი სასამართლოს წინაშე განმცხადებლის შემოწმებასთან დაკავშირებით ამ უკანასკნელის წინასწარი დაკავების და იზოლირებული პატიმრობის განმავლობაში. 1998 წლის 7 ოქტომბრის წერილში სხვა საკითხებთან ერთად ის აცხადებდა:

„ამ ანგარიშის მიზნებისთვის ციხის მენეჯმენტმა შეაგროვა განმცხადებლის ყოფნასთან დაკავშირებული ინფორმაცია მთავრი კონსულტანტისაგან. ექთნების ხელმძღვანელისაგან, სოციალური მუშაკისაგან [განმცხადებლის განყოფილების] სახელმძღვანელო პერსონალისაგან და ციხეში მისი სამუშაო ადგილიდან.

სამხრეთი ფრთის სახელმძღვანელო პერსონალი, [რომელიც მონიტორინგს უწევდა განმცხადებელს იზოლირებული პატიმრობის განმავლობაში], აცხადებდა, რომ მიუხედავად იზოლირებული პატიმრობისა, ის კარგად მუშაობდა; იცოდა როგორ აეწყო თავისი ყოველდღიური ცხოვრება და რით დაკავებულიყო; ის არანაირად არ გამოიყურებოდა, როგორც ფსიქიკურად დაავადებული.

არც ერთხელ არ ჰქონია პერსონალს იმის მიზეზი, რომ ფსიქიატრიული დახმარების მისაღებად დაკავშირებოდა ჯანმრთელობის დაცვის პერსონალს, რასაც პერსონალი ხშირად იყენებს.

იგივე განაცხადეს დასავლეთის ფრთის ხელმძღვანელმა ოფიცერმა, [რომელთანაც გადაიგზავნა განმცხადებელი იზოლირებული პატიმრობის შემდეგ] და იმ სამხარეულოს თანამშრომლებმა, რომელშიც ის მუშაობდა.

იგივე განაცხადა [განმცხადებლის] სოციალურმა მუშაკმა, რომელიც მას ესაუბრებოდა რეგულარულად მისი დაკავების ძირითადი პერიოდის განმავლობაში.

სასამართლოს კომენტარების შესაბამისად [საკომპენსაციო პროცედურებთან დაკავშირებით], განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ საკითხს, თუ რამდენად არის შეფასებები გამყარებული ექიმების მიერ განმცხადებლის მონიტორინგით.

მთავარმა კონსულტანტმა წარმოადგინა საქმის დამატებითი განაცხადი. დეტალებისთვის გთხოვთ იხილოთ აღნიშნული დამატება.

განმცხადებლის დაკავების ძირითად პერიოდთან დაკავშირებული მთავარი კონსულტანტის განაცხადიდან ჩანს, რომ განმცხადებელი ამ დროის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღებით მოწმდებოდა და ფასდებოდა ექიმების მიერ.

ექიმების ვიზიტები, მათ შორის, ფსიქიატრების, შეიძლება განხორციელდეს კოპენჰაგენის ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ასევე შეიძლება სატარდეს პერსონალის დამცველის ან პროკურორის მოთხოვნის საფუძველზე. [განმცხადებლის] საქმეში დამცველმა მხოლოდ ერთხელ მოითხოვა ექიმის ვიზიტი [განმცხადებელთან] [1995 წლის 18 იანვარს მიწერილ წერილში], რომელიც უკვე შემდგარი იყო ფსიქიატრის მიერ შიმშილობასთან დაკავშირებით.

ყველა შეხვედრის განმავლობაში, კოპენჰაგენის ციხის ექიმებსა და ექთნებს მთელი ყურადღება გადატანილი ჰქონდათ ფსიქოზის როგორც აშკარა, ასევე წუთიერ ნიშნებზე. ისინი, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ყურადღებიანნი არიან ასეთი ნიშნების მიმართ იზოლირებული

პატიმრების შემთხვევაში, რადგან ეს ზომა, თავისთავად, სტრესულია.

თუ შესვედრის განმავლობაში ექიმი შენიშნავს, თუნდაც უმნიშვნელო საექსპოზიციო ნიშანს პატიმრის შესაძლო ფსიქიკური ავადმყოფობის გზით განვითარებასთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით განცხადება უნდა გაეგზავნოთ პროკურორსა და დამცველს.

ეს არ მომხდარა [განმცხადებლის] შემთხვევაში, რადგან არც ერთხელ არ გაჩენილა ფსიქიკური დაავადების შესახებ ეჭვი.

1995 წლის 18 იანვარს კოპენჰაგენის ციხის ინიციატივით ფსიქიატრის მიერ [განმცხადებლის] მონახულების მიზეზი იყო არა ფსიქიკური დაავადების ეჭვი, არამედ ის შიდა წესები. რომელიც ამას განსაზღვრავდა პატიმრების შიმშილობის შემთხვევაში. ნებისმიერ შემთხვევაში შემოწმებისას არ აღმოჩენილა რაიმე ფსიქოპათოლოგიური ხასიათის ნიშანი, გარდა სიტუაციური რეაქციისა ... მთავარი კონსულტანტის განცხადების მიხედვით კოპენჰაგენის ციხე უარს ამბობდა იმის თაობაზე, რომ არ მოხდა განმცხადებლის ჯანმრთელობის მონიტორინგი. მისი ყოფნის ძირითადი პერიოდის განმავლობაში [განმცხადებელი] რეგულარულად მოწმდებოდა ექიმებისა და ექთნების მიერ და ამ შემოწმებებს არასოდეს მოჰყოლია რაიმე ეჭვი ფსიქიკური აშლილობის თაობაზე...”

65. გარდა ამისა, 1998 წლის 8 ოქტომბრის წერილით დასაუღელეთის ციხის დირექტორმა წარმოადგინა თავისი ანგარიში განმცხადებლის წინასწარი დაკავებისა და იზოლირებული პატიმრობის პერიოდში მონიტორინგის თაობაზე. წერილის თანახმად, *inter alia*:

„მას შემდეგ, რაც გამოვიდა განჩინება კომპენსაციასთან დაკავშირებულ წარმოებასთან დაკავშირებით 1998 წლის 1 ოქტომბერს, მე ვესაუბრე შემდეგ პირებს განმცხადებლის კოპენჰაგენის ციხეში ყოფნის თაობაზე:

„დგ“, აღმოსავლეთი ფრთის სოციალური მუშაკი იმ პერიოდში აცხადებდა, რომ [განმცხადებელი] იყო ინტელიგენტი და საინტერესო ახალგაზრდა ადამიანი. იქ ყოფნის განმავლობაში მან ხატვა დაიწყო. ის ბევრს კითხულობდა. მისი მოქმედება არ იყო კონსპირაციული. ის მონაწილეობდა დიალოგებში; ნაწყენი და გაბრაზებული იყო პოლიციაზე და მიაჩნდა, რომ უსამართლოდ ექცეოდნენ. ეს ფიქრები პათოლოგიურად არ ეხებოდა „დგ“-ს.

„ჯლ“, ციხის ოფიცერი, ..., რომელიც იცნობდა [განმცხადებელს] მისი სამხრეთის ფრთაზე ყოფნის განმავლობაში, აცხადებდა, რომ ის სატყუარა, იყო აქტიური ადამიანი და როგორც ჩანდა, კარგად ფუნქციონირებდა. ურთიერთობაში მას კარგი იუმორის გრძნობა და საკმაოდ კარგი ფანტაზია ჰქონდა. იგი ყოველთვის იყენებდა ხალისიან შენიშვნებს. ის მთელი პერსონალის მიერ აღქმული იყო როგორც ადამიანი, რომელიც კარგად იქცეოდა და მისი ქცევა არ იყო დამაჯერებელი. მან იცოდა, როგორ დაეწყო ყოველი დღე. ის ფიქრობდა, რომ სისტემა, ზოგადად, უსამართლოდ ექცეოდა და მიაჩნდა, რომ იზოლირებული პატიმრობა წამების ერთ-ერთ სახედ შეიძლება მიხსენიებულიყო.

„სლ“, ციხის ოფიცერი, ..., რომელიც ასევე აკვირდებოდა [განმცხადებელს] სამხრეთის ფრთაზე, აცხადებდა, რომ იგი პათოლოგიურად დამაჯერებელი არ იყო. ის საკმაოდ ნორმალური მოსაუბრე იყო. მან წარმოუდგენლად კარგად გაართვა თავი იზოლირებულ პატიმრობას.

„ჯელ“-იმ, ... რომელიც იყო ოსტატი სამზარეულოში, სადაც იზოლირებული პატიმრობის შემდეგ მუშაობდა [განმცხადებელი], განაცხადა, რომ ის არ გამოიყურებოდა ფსიქიკურად დამაჯერებლად ან გრძელვადიანი იზოლირებული პატიმრობის შედეგად რაიმე ფორმით შეცვლილად.

„გბ“, დასაუღელეთის ფრთის მთავარი ოფიცერი აცხადებდა, რომ [განმცხადებელი] კარგად იქცეოდა მისი დასაუღელეთის ფრთაზე ყოფნის განმავლობაში იზოლირებული პატიმრობის შემდეგ და არ ჩანდა რაიმე ფორმის ზეგავლენის ქვეშ.

66. დამატებითი განცხადებები იურიდიულ-ფსიქიატრიული კლინიკიდან და სამედიცინო-იურიდიული საბჭოდან წარდგენილ იქნა 1999 წლის 29 აპრილს და 1999 წლის 9 აგვისტოს; დაიკითხნენ განმცხადებელი და რამდენიმე მოწმე.

67. 1999 წლის 27 აგვისტოს განჩინებით, უმაღლესმა სასამართლომ განმცხადებლისათვის კომპენსაციის სახით გადასაცემად განსაზღვრა 1,334,600 DKK, რომელიც უარაგდა შემდეგ ხარჯებს:

არამატერიალური ზიანი	100 000 DKK
დაკარგული შემოსავლები	125,000 DKK
სამუშაო ქმედითუნარიანობის დაკარგვა	1,022,000 DKK
ქმედითუნარობა	87,600 DKK

68. უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის ფსიქიკური დაავადება უმეტესწილად გამოწვეული იყო იზოლირებული პატიმრობით. მაგრამ აღნიშნა, რომ მის წინაშე არსებული სამედიცინო განცხადებების საფუძველზე არ იყო შესაძლებელი იმის განსაზღვრა, თუ როდის დაიწყო და განვითარდა ფსიქიკური აშლილობა. მის წინაშე არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე, სასამართლომ დადგენილად ცნო ფაქტი, რომ დაკავების პერიოდში მას სწორად ექცეოდნენ. ამდენად, განმცხადებლის პატიმრობის მიზეზის და მის მიმართ ამ პერიოდში მოპყრობის გათვალისწინებით, სასამართლომ აღგენს, რომ იზოლირებული პატიმრობის ხანგრძლივობისა და განმცხადებლის ჯანმრთელობაზე მისი უარყოფითი გავლენის მოუხედავად, კონვენციის მე-3 მუხლი არ შეიძლება დარღვეულად იქნეს მიჩნეული.

69. სასამართლომ დაადგინა, რომ არამატერიალური ზიანისათვის განსაზღვრული კომპენსაცია გამართლებული იყო სამართლის ადმინისტრირების აქტის 1018^ა ნაწილის მე-2 პარაგრაფით, რომელიც შეეხება დაკისრებულ სასჯელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას, როგორც ეს განსაზღვრული იყო 1996 წლის 14 მაისს ვერდიქტში. თუმცა აღნიშნული აქტის 1018^ა ნაწილის მე-3 პარაგრაფის მიხედვით, განმცხადებელმა თვითონ მისცა საფუძველი აღნიშნული ზომის გამოყენებას, ეგრეთ წოდებული „საკუთარი ბრალით“, 1994 წლის 13 დეკემბრიდან 1995 წლის 26 სექტემბერს შორის პერიოდის განმავლობაში, როდესაც განმცხადებელმა პოლიციას განუცხადა ბრილიანტების კონტრაბანდაში მონაწილეობის თაობაზე. შესაბამისად, 100 000 DKK ოდენობა გონივრულად იქნა მიჩნეული. ასევე „საკუთარი ბრალის“ გამო შემცირდა კომპენსაცია დაკარგული შემოსავლების გამო.

70. ქმედითუნარიანობისა და დაკარგული სამუშაო ქმედითუნარიანობის გამო განსაზღვრული კომპენსაციის თანხა განისაზღვრა კომპენსაციის აქტისა (*Erstatningsansvarsløven*) და განმცხადებლის გასული წლების განმავლობაში მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე. რადგან შეუძლებელია ზიანის მიყენების ზუსტი დროის განსაზღვრა, ამ დღედ განისაზღვრა 1994 წლის 13 დეკემბერი. იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლებამ იცოდა, თუ რა რისკის მატარებელი იყო იზოლირებული პატიმრობა პიროვნების ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის და მხედველობაში იდებდა რა სასტიკ და არაორდინალურ ზიანს, რომელიც განმცხადებლის შემთხვევაში გამოიწვია დიდი ხნის განმავლობაში იზოლირებულ მდგომარეობაში პატიმრობამ, სასამართლომ ვერ ნახა მიზეზი „საკუთარი ბრალის“ საფუძველზე შემცირებისა საკომპენსაციო თანხის მოცულობა.

71. დაბოლოს, უმაღლესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოავრობას უნდა გადაეხადა ყველა სამართლებრივი საფასური, როგორც საქალაქო, ასევე უმაღლესი სასამართლოს წინაშე მიმდინარე პროცესებისათვის.

კ. კომპენსაციასთან დაკავშირებული პროცესი უზენაესი სასამართლოს წინაშე

72. ვინაიდან განმცხადებელს ჰქონდა გასაჩივრების უფლება, მან უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში (*Højesteret*) და მოითხოვა კომპენსაცია 18,618,602.36 DKK-ს ოდენობით როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური ზიანისათვის. 2000 წლის 5 სექტემბრის განჩინებით უზენაესმა სასამართლომ შეამცირა გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა 1,109,600 DKK-მდე:

არამატერიალური ზიანი	0	DKK
დაკარგული შემოსავლები	0	DKK
სამუშაო ქმედითუნარიანობის დაკარგვა	1.022.000	DKK
ქმედითუნარიანობა	87.600	DKK

73. უზენაესი სასამართლო ერთხმად დაეთანხმა უმაღლეს სასამართლოს, რომ ფსიქიკური ტრავმა განმცხადებელში მეტწილად გამოიწვია იზოლირებულმა პატიმრობამ ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა მიზეზი იმის საუარაუდოდ, რომ განმცხადებელს არასწორად ექცეოდნენ მისი წინასწარი დაკავების განმავლობაში, უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა უმაღლესი სასამართლოს დადგენილება, რომ საქმიდან არ იკვეთებოდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის ფაქტები

74. ამასთან, უზენაესმა სასამართლომ მიიღო უმაღლესი სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ განმცხადებელი თვითონ იძულებული იყო დაეხმარებინა საფუძველს მის წინააღმდეგ გატარებული ზომების აღმკრისათვის და აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიერ სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში მიცემული ჩვენებები ნამდვილად არ ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ის მიცემული იყო ადამიანის მიერ, რომელსაც აკლდა რაციონალური ქმედობის უნარი.

75. რაც შეეხება ქმედითუნარიანობისა და სამუშაო ქმედითუნარიანობის დაკარგვის შესაბამის კომპენსაციას, უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა, რომ იზოლირებულ პატიმრობაში ფსიქიკური აშლილობის რისკის შემცველობა ყველასათვის ცნობილი იყო. სხვა მხრივ, მან დაადგინა, რომ განმცხადებელს არ შეეძლო სცოდნოდა, რომ მისი საქციელი და ის ზომები, რომლებსაც ის დაექვემდებარა, შედეგად მოუტანდა მუდმივ ფსიქიკურ აშლილობას. რომელიც გამოიწვევდა სამუშაო ქმედითუნარიანობის დაკარგვას და ქმედითუნარიანობას. შესაბამისად, უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ის თანხა, რომელიც ფარავდა ქმედითუნარიანობისა და სამუშაო ქმედითუნარიანობის დაკარგვისათვის განსაზღვრულ კომპენსაციას, არ უნდა შემცირდეს „საკუთარი ბრალის“ მოსაზრებებიდან გამომდინარე.

76. რადგან განმცხადებლის მოთხოვნა ეფუძნებოდა 1018 ნაწილის მეორე ქვეპუნქტის პირველ ქვეპუნქტს, უზენაესი სასამართლოს უმრავლესობამ (სამი მოსამართლე) დაადგინა:

„ჩვენ ვადგენთ, რომ პაპიას პროექტში მონაწილეობით და მის მიერ ნაჩვენები დამოკიდებულებით, რომელსაც ის იწინააღმდეგებდა მისი დაკავების პერიოდის ნაწილის განმავლობაში, კერძოდ, საქმის გამოძიებისათვის მკვეთრი ოპონირებით, [განმცხადებელმა] არ უნდა მიიღოს აღნიშნული მოთხოვნებისათვის კომპენსაცია, სამართლის ადმინისტრირების აქტის 1018 ნაწილის მესამე ქვეპუნქტის შესაბამისად“.

ორი მოსამართლისაგან შემდგარმა უმცირესობამ კი დაადგინა:

„განმცხადებლის მიერ ნაჩვენები „საკუთარი ბრალის“ შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის რთული მდგომარეობა, რომელშიც ის იმყოფებოდა და იმ ზომების სისასტიკე, [რომელსაც ის დაექვემდებარა], შესაბამისად, ჩვენი აზრით, [საკუთარი ბრალი] არ უნდა ახდენდეს გავლენას კომპენსაციის გადაცემაზე დაკარგული შემოსავლებისათვის 1995 წლის 12 ოქტომბრიდან და არამატერიალური ზიანისათვის 1995 წლის 26 სექტემბრის შემდეგ. საქმე არ მოიცავს ისეთ განსაკუთრებულ გარემოებებს, რომელთა გამართლებაც შესაძლებელია არამატერიალური ზიანის დასაფარად განკუთვნილი ადმინისტრაციული განაკვეთებისაგან გადახვევით.“

სხვაგვარად, უმაღლესი სასამართლოს მხედველობაში დათანხმება, რომელიც შეეხება თითოეულ მოთხოვნას, ჩვენ მიგვაჩნია, რომ განმცხადებელს სამუშაო ქმედითუნარიანობის დაკარგვისა და ქმედითუნარიანობის გამო გამოყოფილ კომპენსაციასთან ერთად უნდა მიეცეს 250 000 DKK დაკარგული შემოსავლებისათვის და 106 800 DKK არამატერიალური ზიანის დასაფარად“.

77. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა რომ განმცხადებელს უნდა გადაეხადა სამართლებრივი საფასური 37,500 DKK-ს ოდენობით, რაც არ მოიცავდა VAT-ის გადასახადს.

II. შესაბამისი აღბილობრივი სამართალი

78. შესაბამის დროს სამართლის აღმინისტრირების აქტის შესაბამისი დებულებების თანახმად:

ნაწილი 762

1. ეჭვმიტანილი (*en sigtet*) შეიძლება წინასწარ პატიმრობაში მოთავსდეს, როდესაც არსებობს გონივრული საფუძველი ეჭვისათვის, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, რომელიც ეჭვმიტანილ ბარება საჯარო გამოძიებას, რომელიც კანონის მიხედვით, სასჯელის სახით ეჭვმიტანილ ბარება ერთი წლისა და ექვსი თვის ვადით ან მეტი პატიმრობას, და

I) ეჭვმიტანილის მდგომარეობის თაობაზე მიღებული ინფორმაციის თანახმად, არსებობს განსაკუთრებული მიზეზები იმის სავარაუდოდ, რომ ის თავიდან აიცილებს გამოძიებას, ან განხიზმის აღსრულებას, ან

II) ეჭვმიტანილის მდგომარეობის თაობაზე მიღებული ინფორმაციის თანახმად არსებობს განსაკუთრებული საფუძველი იმის საშიშროებისათვის, რომ ის ისევ ჩაიდენს ზემოთ აღწერილი იმავე ხასიათის ახალ დანაშაულს, ან

III) საქმის გარემოებებიდან გამომდინარე არსებობს განსაკუთრებული საფუძველები იმის სავარაუდოდ, რომ ეჭვმიტანილი ხელს შეუშლის გამოძიებას, კერძოდ, მტკიცებულებების მოცილებით, ან სხვა პირების შეშინებითა და მათზე გავლენის მოხდენით.

2. ...

3. წინასწარი დაკავება არ შეიძლება შეეფარდოს პირს, თუ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია ჯარიმა ან მსუბუქი პატიმრობა (*haefte*), ან თუ თავისუფლების ჩამორთმევა არაპროპორციულია ეჭვმიტანილის მდგომარეობასთან, საქმის მნიშვნელობასთან და იმ სანქციასთან, რომელიც იქნება შეფარდებული ეჭვმიტანილის ბრალის დადასტურების შემთხვევაში.

ნაწილი 770^a

1. პოლიციის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება დაკავებულის სრულ, ან ნაწილობრივ გამოყოფაზე სხვა პატიმრებისაგან (იზოლირებული პატიმრობა) თუ:

I) წინასწარი დაკავების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 762-ე ნაწილის 1(იი) ქვეპუნქტის შესაბამისად, და

II) წინასწარი დაკავების მიზანი მოითხოვს იზოლირებულ პატიმრობას ეჭვმიტანილის მიერ სხვა თანამესაკნეების მეშვეობით თანაეჭვმიტანილზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობის თავიდან აცილებას, ან სხვა პირებზე ზეგავლენის მოხდენას მუქარის ან სხვა გზების გამოყენებით.

2. სრული იზოლირებული პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს პირს განგრძობითად რვა კვირაზე მეტი ვადით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წაყენებული ბრალი გულისხმობს ეჭვს წელიწადზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას.

ნაწილი 770^b

იზოლირებული პატიმრობა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ან გაგრძელდეს იმ შემთხვევაში, თუ მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნეს სხვა, ნაკლებბრალეული მეთოდით, ან თუ ზომა არაპროპორციულია საქმის მნიშვნელობასთან და სავარაუდო სანქციასთან მიმართებით ეჭვმიტანილის ბრალეულად ცნობის შემთხვევაში. იზოლირებული პატიმრობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება ასევე უნდა ითვალისწინებდეს ეჭვმიტანილის განსაკუთრებულ პოტენციურ დაძაბულობას მისი ახალგაზრდა ასაკის, ან ფიზიკური თუ მენტალური სისუსტის გამო.

1. ნებისმიერ ადამიანს, რომლის დაპატიმრება ან საპრობილეში მოთავსება განსორციელდა სისხლის სამართლებრივი გამოძიების გამო, უფლება აქვს მოითხოვოს კომპენსაცია ზიანის ასანაზღაურებლად იმ შემთხვევაში, თუ ბრალი მოიხსნება, ან ბრალდებული გაპართლდება.

2. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც, პირველი ქვეპუნქტის მიხედვით კომპენსაციის მიცემის გარემოებები არ არის დაკმაყოფილებული, კომპენსაცია უნდა გაიცეს, თუ თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება მისწველ იქნეს გამოძიების შედეგების პროპორციულად ან, თუ ის არაგონივრული აღმოჩნდება სხვა კონკრეტული საფუძველებით.

3. შეიძლება მოსდეს კომპენსაციის შემცირება ან მასზე უარის თქმა, თუ ბრალდებულმა პირმა თავად მისცა საფუძველი ზომის ამოქმედებას.

III. ნამუგის ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყროვის ან სასჯელის თავიდან აცილების ევროპული კომიტეტის დადგენილებები

79. CPT-მ მოინახულა დანია 1990 წლის 2-დან 8 დეკემბრამდე. იზოლირებულ პატიმრობასთან დაკავშირებით მან დაადგინა *inter alia* შემდეგი (ნოტ/ინფ (91) 12):

136. ... CPT-ს დელეგაციას შესაძლებლობა ჰქონდა დასავლეთის ციხეში მონიტორინგი გაეწია წინასწარ სასამართლოს მიერ მისჯილ წინასწარ პატიმრობაში მყოფი იზოლირებული პატიმრებისათვის. უამრავი განცხადება გაკეთდა ასეთი სახით პატიმრობის უარყოფით ეფექტებზე. CPT-ს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ გარკვეულ გარემოებებში იზოლირებული პატიმრობა უთანაბრდება არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას და ნებისმიერ შემთხვევაში, მისთვის ფორმით პატიმრობა, შეძლებისდაგვარად, მოკლე ვადაზე უნდა შემცირდეს. იზოლირებული პატიმრობის საკითხს ამჟამად განიხილავს დანიის ხელისუფლება. CPT-მ, თავის მხრივ, ჩამოაყალიბა რამდენიმე რეკომენდაცია ამ სფეროში პატიმრების დაცვის გასაძლიერებლად. აქცენტი ძირითადად გაკეთებულია პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით, ერთი მხრივ გამოძიების ინტერესების და მეორე მხრივ იზოლირებული პატიმრობის მიმართ (ზომა, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ძალიან საზიანო შედეგები პიროვნებაზე), იზოლირებული პატიმრობის პერიოდული სასამართლო გადასინჯვა და ამ ზომას დაქვემდებარებული პატიმრის სწორი სამედიცინო შემოწმება.

80. CPT-მ ასევე მოინახულა დანია 1996 წლის 29 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე. მისი აღნიშვნები, იზოლირებულ პატიმრობასა და დასავლეთის ციხის პირობებთან დაკავშირებით, იყო შემდეგი (CPT/Inf (97) 4):

3. სასამართლოს ბრძანებით წინასწარ დაკავებული პირების იზოლირებული პატიმრობა

54. დანიის ხელისუფლებასთან დიალოგში CPT-მ აღნიშნა, რომ იზოლირებული პატიმრობის ყველა ფორმას, შესაბამისი ფსიქიკური და ფიზიკური სტიმულატორების გარეშე, დიდი ხნის განმავლობაში აქვს საზიანო ეფექტი, რასაც შედეგად მოხდევს ფსიქიკური შესაძლებლობებისა და სოციალური უნარების გაუარესება. მან გარკვეული ყურადღება დაუთმო სასამართლოს ბრძანებით პირების წინასწარი დაკავების იზოლირებული პატიმრობის ფორმას, რაც შეიძლება გაგრძელდეს განსაზღვრულ დრომდე.

55. დანიის ხელისუფლებამ უკვე დიდი ხანია იცის ამ საკითხის მნიშვნელობის შესახებ და 1990 წელს იუსტიციის მინისტრმა განიხილა კვლევითი პროექტი, რათა გამოეკვლია „წინასწარი დაკავების იზოლირებული პატიმრობის ფორმის ნებისმიერი შესაძლო საზიანო ეფექტი“. აღნიშნული კვლევის შედეგები გამოქვეყნდა ანგარიშში სათაურით – „წინასწარი დაკავება საპრობილეში და ფსიქიკური ჯანმრთელობა“, 1994 წლის მაისში.

კვლევის ჯგუფმა დაადგინა, რომ „... საპრობლეუმი იზოლირებული პატიმრობა, არაიზოლირებული პატიმრობის საპრობლეუმი, ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის საშიშროებაა“ შედეგების რისკის მატარებელია“ და „... არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ იზოლირებულ პატიმრობაში მყოფებს უკეთესად უფსიქიკური პრობლემები და ციხის პოსპიტალში ფსიქიკური აშლილობის გამო ისინი უფრო ხშირად გადაჰყავთ, ვიდრე სხვა პატიმრები, რომლებიც არ არიან იზოლირებულ პატიმრობაში“. (იხ. დოკუმენტის CPT/ინფ (96) 14, გვერდი 164), თუმცა მკვლევრებს არ აღმოუჩენიათ დადასტურებული კავშირი სასამართლოს მიერ განსაზღვრული იზოლირებული პატიმრობის ხანგრძლივობასა და პატიმრის ფსიქიკურ ჯანმრთელობას შორის.

დასკვნის სახით ანგარიში ადგენდა, რომ: „... იზოლირებული პატიმრობის საშიშროება ეფექტებით მთლიანობაში შედეგად არ იძლევა ცნობიერების ფუნქციონირებაში, მაგალითად, კონცენტრაციასა და მახსოვრობაში არანორმალური მოქმედების დაწყებას“. (იხ. დოკუმენტის CPT/ინფ (96) 14, გვერდი 165).

სისხლის სამართლის განმხილველი კომიტეტი ამჟამად იხილავს დოკუმენტში „დაკავება საპრობლეუმი და ფსიქიკური ჯანმრთელობა“ მოყვანილ დადგენილებებს სასამართლო გადაწყვეტილებით იზოლირებულ პატიმრობაში მოთავსების წესების გადაფასების მიზნით. დამატებით, იგივე კვლევითი ჯგუფი აწარმოებს მომდევნო სწავლას, რაც უნდა გამოქვეყნდეს დამატებითი ანგარიშის სახით.

56. CPT მიესალმება ფაქტს, რომ იმ პატიმრის ფსიქიკური ჯანმრთელობა, რომელიც იზოლირებულ პატიმრობაშია, არის შესწავლის საგანი. თუმცა ის ვალდებულია აღნიშნოს, რომ 1996 წლის ვიზიტის განმავლობაში მნიშვნელოვანი რაოდენობა ექიმების, იურისტების, ციხის პერსონალისა და სხვა პირების, რომელთაც მუდმივი შეხება აქვთ იზოლირებულ პატიმრებთან, გამოხატავენ მნიშვნელოვან გაოცებას კვლევის ძველი შედეგების გამო. როგორც მათ განაცხადეს, ის პატიმრები, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებიან იზოლირებულ პატიმრობაში, ხშირად გამოხატავენ ჩაუარდნებს კონცენტრაციაში, მახსოვრობის დაკარგვას და გაუარესებულ სოციალურ უნარებს. ეს მიმოხილვები აისახა კომიტეტის პირად დადგენილებებში მისი მეორე ვიზიტის დროს. ბევრი პატიმარი, რომელიც იმყოფებოდა სასამართლოს მიერ მისჯილ იზოლირებულ პატიმრობაში, ჩიოდა, რომ აწუხებდა ნერვული აშლილობა, დეპრესია, კონცენტრაციის პრობლემები, არარეგულარული ძილი, გულისრევა და მუდმივი თავის ტკივილები. ერთ კონკრეტულ საქმეში, დელეგაციის ფსიქიატრის ექსპერტს ჰქონდა მოსაზრება, რომ სიმპტომები, როგორებიცაა: კონცენტრაციის გაუარესება, დეპრესიული განწყობა და თვითმკვლელობის ფიქრები, შეიძლება მიუყვროს დიდი ხნის განმავლობაში პატიმრის იზოლირებულ პატიმრობაში მოთავსებას.

მოკლედ რომ ვთქვათ, მიუხედავად დოკუმენტის „საპრობლეუმი პატიმრობა და ფსიქიკური ჯანმრთელობა“ დასკვნისა, CPT მიიხვედრება, რომ არსებობს წესილს სერიოზული საფუძველი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე პირის იზოლირებულ პატიმრობაში დიდი ხნის განმავლობაში მოქცევის შედეგებთან დაკავშირებით ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

57. იმის აღნიშვნასთან ერთად, რომ იზოლირებული პატიმრობის ყველა ფორმა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მოკლე, CPT-ს 1991 წლის ანგარიში რეკომენდაციას იძლეოდა, დანიის ხელისუფლებას მიეღო შესაბამისი ზომები რათა უზრუნველყოთ პატიმრების მოთავსება იზოლირებულ პატიმრობაში მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებებისას, რაც მკაცრად იქნებოდა შეზღუდული საქმის აქტუალურ მოთხოვნებამდე. ასევე რეკომენდებულია, რომ არსებობდეს ეფექტური სასამართლო მიმოხილვა იზოლირებულ პატიმრობაში მოქცევის თაობაზე და იმ შემთხვევებში, თუ მოხდებოდა მოთავსების ვადის გაგრძელება, მსგავსი გაგრძელების მიზეზები უნდა დაფიქსირებულიყო წერილობით (იხ. დოკუმენტის CPT/ინფ (91) 12 §29).

პასუხად, დანიის ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ დანიის კანონი უკვე შეესაბამებოდა აღნიშნულ რეკომენდაციებს და ყურადღება გაამახვილა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე იზოლირებულ პატიმრობაში მოთავსებული პირების რაოდენობის მკვეთრ შემცირებაზე.

58. CPT მიესალმება ზემოთ აღნიშნულ ვარდნას. თუმცა მეორე ვიზიტის განმავლობაში მოგროვებული ინფორმაციის მიხედვით – თუნდაც გარკვეული სახის საჭმეების მიმართ (ნარკოტიკებთან დაკავშირებული საერიოზული დანაშაულები, ძალადობრივი დანაშაულები და ა.შ) – სისხლის სამართლის გამოძიების დეგრატიული მოთხოვნებსა და იზოლირებული პატიმრობის პოტენციურად საზიანო შედეგებს შორის ბალანსი ისევე არ არის დაცული სწორი გზით. მაგალითის სახით. უფროსი პოლიციის ოფიცრები, პროკურორები და მოსამართლეები, რომლებსაც ესაუბრნენ დელეგატები, დაეთანხმნენ, რომ განსაკუთრებით უჩვეულო იქნებოდა, ის პირები, რომელთაც ბრალი წაყენათ სამართლის ადმინისტრირების აქტის 191-ე ნაწილის საფუძველზე (რომელიც ეხება სერიოზულ ნარკოტიკულ დანაშაულებს). არ მოთავსებულები იქნენ იზოლირებულ პატიმრობაში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე 191-ე ნაწილის თაობაზე სასამართლოს ჩანაწერის დეტალური განხილვის შედეგად ჩანს, რომ იზოლირებული პატიმრობის შესაფარდებლად მოსამართლეს არ სჭირდება სპეციფიკური მიზეზები; ამის ნაცვლად, ის უბრალოდ ახდენს იმ კანონის ციტირებას, რომელიც მას უფლებას აძლევს დააკმაყოფილოს პროკურორის მოთხოვნა.

გარდა აღნიშნულისა, მიუხედავად იმისა, რომ დანიის ხელისუფლების მიერ მოწოდებული სტატისტიკის მიხედვით ჩანს იზოლირებულ პატიმრობაში მოთავსებულ პირთა რაოდენობის შემცირების ტენდენცია, ის ასევე ცხადყოფს, რომ იზოლირებული პატიმრობის საშუალო ვადა გაიზარდა. შესაბამისად, 1996 წლის ვიზიტის განმავლობაში, CPT-ს დელეგაცია შეხვდა გარკვეული რაოდენობის პატიმრებს, რომლებსაც სასამართლოს მიერ შეფარდებული პქონდათ იზოლირებული პატიმრობა დიდი ხნით (ერთს – ათი თვის განმავლობაში, ორს – ექვსი თვე, და ექვსს – სამი თვე ან მეტი).

59. ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის თანახმად, CPT მიიჩნევს, რომ საჭიროა შემდეგი ქმედებები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იზოლირებული პატიმრობის დაცვის გარანტიებთან დაკავშირებით დანიის კანონის მოთხოვნის შესრულება და პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენება. CPT რეკომენდაციას იძლევა, რომ განხორციელდეს შემდეგი ქმედებები იმის უზრუნველსაყოფად, რომ – პროკურორებმა იზოლირებულ პატიმრობაში პირის მოთავსება მოითხოვონ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს მკაცრად აუცილებელია კონკრეტული საქმის გამოძიებისათვის; – ყოველი შემთხვევისას, როდესაც სასამართლოს წინაშე კეთდება მოთხოვნა იზოლირებული პატიმრობის გაგრძელების თაობაზე, შედეგის გონივრული საფუძველი უნდა იყოს წერილობითი ფორმის; – პატიმრებს სისტემატურად, მათთვის გასაგებ ენაზე უნდა განემარტოთ სასამართლოს გადაწყვეტილებით იზოლირებულ პატიმრობაში მათი მოთავსების საფუძვლის შესახებ; – წინასწარი დაკავების გაგრძელების ყოველი პერიოდული გადახედვის დროს ცალკე საკითხად უნდა იქნეს განხილული იზოლირებული პატიმრობის გაგრძელების საკითხი იმ ზოგადი პრინციპის გათვალისწინებით, რომ იზოლირებული პატიმრობა უნდა იყოს შემდეგისდაგვარად მოკლევადიანი. კომიტეტი ასევე იწვევს დანიის ხელისუფლებას იმ პერიოდის ზედა ზღვრის განსაზღვრად, რომლის განმავლობაშიც შეიძლება წინასწარ დაკავებაში მყოფი პირი მოთავსდეს იზოლირებულ პატიმრობაში.

60. სასამართლოს გადაწყვეტილებით წინასწარ დაკავებაში იზოლირებულ პატიმრობაში მყოფი პატიმრების შეზღუდვა შეიძლება გაერცხლდეს აკრძალვების შემოღებით მის წერილებსა და ვიზიტებს. მსგავსი შეზღუდვების დაწესება პოლიციის პირადი დისკრეციაა (თუმცა პატიმარს შეუძლია სასამართლოში გაასაჩივროს აღნიშნული შეზღუდვების დაწესება). მისი მეორე ვიზიტის განმავლობაში დელეგაციამ აღმოაჩინა, რომ პოლიციას ძალიან იშვიათად, შესაძლებელია არც არასოდეს, უცდია წერილებისა და ვიზიტების აკრძალვა; თუმცა, როგორც წესი, ხდებოდა პატიმრების წერილებისა და ვიზიტების შემოწმება და მონიტორინგი. მის ანგარიშში პირველი ვიზიტის თაობაზე CPT რეკომენდაციას იძლევა, რომ პოლიციამ ნათელი ინსტრუქციები გასცეს იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის დროსაც შეიძლება დაწესდეს ასეთი აკრძალვები/შეზღუდვები, რომლებიც მოითხოვს მიზეზების წერილობითი ფორმით აღწერას. ამ რეკომენდაციის იმპლემენტაცია არ მომხდარა დანიის ხელისუფლების მიერ, რომელიც მიიჩნევს, რომ სამართლის ადმინისტრირების აქტი უკვე წარმოადგენს, ამ მხრივ, საკმარის დაცვას.

CPT-ს აზრით, პოლიციის მიერ დაწესებული შეზღუდვები წერილებსა და ვიზიტებზე აღკვეთურად ისევე არ ახდენს იმის უზრუნველყოფას, რომ მიღებული ზომები მოცემულ საქმეში იქნება მკაცრად პროპორციული სისხლის სამართლის გამოძიების ინტერესებთან შესაბამისად. კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა, რომ დანიის ხელისუფლებამ მიიღოს ზომები 1991 წლის რეკომენდაციის იმპლემენტაციისათვის ზომები შემდგომი გადადების გარეშე. CPT ასევე იძლევა რეკომენდაციას, რომ სასამართლოს მიერ წინასწარი დაკავების გაგარძელების ყოველი პერიოდული განხილვის კონტექსტში უნდა მოხდეს პოლიციის მიერ წერილებსა და ვიზიტებზე დადგენილი კონკრეტული შეზღუდვების განხილვა ცალკე საკითხად.

61. რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებით წინასწარი დაკავების იზოლირებულ პატიმრობაში მყოფი პირების საქმიანობას, კომიტეტი აღნიშნავს, რომ იუსტიციის სამინისტრო სრულად ეთანხმება CPT-ს აზრს, რომ იზოლირებულ პატიმრობაში მყოფ პირებს უნდა ჰქონდეთ დაშვება მიზნობრივ საქმიანობებზე და შესაბამის ადამიანურ კონტაქტებზე იმისათვის, რომ იზოლირებულ პატიმრობაში ყოფნის შედეგებს შეეწინააღმდეგონ (ის დოკუმენტის CPT/ინფ (96) 14, გვერდი 165). მეორე პერიოდული ვიზიტისას დელეგაციამ აღნიშნა, რომ მონახულებულ დაწესებულებებში მიზნის მისაღწევად გარკვეული მცდელობები აღინიშნებოდა. CPT რეკომენდაციას იძლევა, რომ დანიის ხელისუფლებამ გააგრძელოს ქმედებები ამ მიმართულებით.

4. დაკავების ზოგადი პირობები

...ბ. კოპენჰაგენის დასავლეთის ციხე

ი. შესავალი

64. დასავლეთის ციხეში CPT-ს პირველი ვიზიტისას 1990 წელს დაწესებულება გახდა კოპენჰაგენის ციხეების მისაღები დაწესებულება (როლი, რომელიც დაკისრებული ჰქონდა პოლიციის მთავარი შტაბის ციხეს, იხ. §62); დასავლეთის ციხეში ამჟამად პატიმრების მოძრაობა იყო 8000-დან 10 000 პატიმრამდე წელიწადში. 1996 წლის ვიზიტის პირველ დღეს დაწესებულებაში, რომლის ოფიციალური ტევადობა არის 439, იმყოფებოდა 426 პატიმარი (მაშინ როცა 403 იმყოფებოდა პირველი პერიოდული ვიზიტისას (როცა ოფიციალური ტევადობა იყო 430))..

81. დანიის მთავრობამ *inter alia* უპასუხა:

დანიის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მხოლოდ სასამართლოებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება ექვმიტანილის იზოლირებულ პატიმრობაში მოთავსების თაობაზე და აღნიშნული გადაწყვეტილება მოითხოვს გარკვეული გარემოებების თანხვედრას, მაგალითად, რომ ექვმიტანილი დაკავებულია საპრობილეში იმ მიზნით, რომ მოხდეს სხვა მესაკნეების ან სხვა გზით სხვა ექვმიტანილებზე ზეგავლენის მოხდენის თავიდან აცილება. სრული იზოლირება შესაძლებელია მხოლოდ რვა კვირის ვადით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჩართულ პირს ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულში, რომელიც ითვალისწინებდა ექვსი წლით ან მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას. გარდა ამისა, უნდა მოხდეს პროპორციულობის პრინციპის განხილვა, რადგან თუ იზოლირებული პატიმრობის მიზნის მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლები მნიშვნელობის მქონე მეთოდებით, ან თუ იზოლირებული პატიმრობა არაპროპორციულია საქმის მნიშვნელობასთან და იმ სამართლებრივ შედეგებთან, რომელიც შეიძლება დადგეს ექვმიტანილის ბრალის დადასტურების შემთხვევაში, იზოლირებული პატიმრობა შეიძლება არ იქნეს გამოყენებული. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლემ ასევე უნდა გაითვალისწინოს ის დაძაბულობა, რომელიც იზოლირებულმა პატიმრობამ შეიძლება მოუტანოს ექვმიტანილს მისი ახალგაზრდული ასაკის, ან ფიზიკური, თუ ფსიქიკური სისუსტეების გამო. მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც იმყოფებოდნენ იზოლირებულ პატიმრობაში მნიშვნელოვნად შემცირდა წლების განმავლობაში და ის პირობები, რომელთა თანხვედრაც უნდა მომხდარიყო იზოლირებულ პატიმრობასთან მიმართებით ყველაზე მკაცრი იყო ევროპაში;

მსოფლიო სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ეჭვმიტანილის იზოლირებულ პატიმრობაში დაკავების თაობაზე და აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზები დეტალურად ენდა იქნეს განმარტებული;

დანიის ციხის პერსონალმა მიიღო ინსტრუქცია ციხის ექიმების/ექთნების ინფორმირებასთან დაკავშირებით ეველა იმ შემთხვევის თაობაზე, როცა პატიმარი მოითხოვს სამედიცინო ყურადღებას. ციხის ექიმი შეამოწმებს არა მარტო სომატურ პატიმრებს, არამედ ასევე სპეციალურ ყურადღებას მიაქცევს ფსიქიატრიულ პრობლემებს პატიმრის შემოწმებისას. ექიმისთვის ნებისმიერ შემთხვევაში შესაძლებელია ციხის მენეჯმენტის და ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე საჯარო პროკურორის, პატიმრის დამცველის და სასამართლოების ინფორმირება იმის თაობაზე, თუ როგორ და რა დონემდე მოხდა დადასტურებული ფსიქოპათოლოგიური სიმპტომის წარმოშობა ან განვითარება იზოლირებული პატიმრობით და როგორი იქნება პატიმრის პროგნოზი იზოლირებული პატიმრობის გაგრძელების შემთხვევაში. ასეთი სამედიცინო ინფორმაცია შეადგენს სასამართლოს მსჯელობების ნაწილს, როდესაც იღებს გადაწყვეტილებას იზოლირებული პატიმრობის პროპორციულობის თაობაზე განსახილველ საქმესთან;

სამართლის ადმინისტრირების აქტი შეიცავს სპეციალურ დებულებებს, რომელიც შეეხება პატიმრის ვიზიტებსა და კორესპონდენციაზე აკრძალვებს/შეზღუდვებს და იმ პატიმარს, რომელიც დაექვემდებარება მსგავს შეზღუდვებს უფლება აქვს მოითხოვოს აღნიშნული გადაწყვეტილების წარდგენა სასამართლოს წინაშე.

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

82. განმცხადებელი ჩიოდა, რომ დანიის ხელისუფლებამ ის დაექვემდებარა კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპერობას, რადგან ის დაკავებული იყო იზოლირებულ პატიმრობაში 1994 წლის 14 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, თუ რა ზიანს აყენებს იზოლირებული პატიმრობა პიროვნების ფსიქიკურ ჯანმრთელობას. მე-3 მუხლის მიხედვით:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპერობას ან სასჯელს“.

ა. მხარეების განცხადებები

83. განმცხადებელი აცხადებდა, რომ მისი წინასწარი დაკავება იზოლირებულ პატიმრობაში 1994 წლის 14 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე თავისთავად არღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს, რადგან ხელისუფლებამ, სავარაუდოდ, იცოდა, რომ იზოლირებულ პატიმრობას ზიანი მოჰქონდა პირის ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის.

84. გარდა ამისა, ის აცხადებდა, რომ იზოლირებულ პატიმრობაში დაკავების განმავლობაში ჩატარებული სამედიცინო შემოწმება უსარგებლო იყო, ვინაიდან შემოწმებამ არ დაადასტურა ფსიქიკური აშლილობის განვითარება. ამდენად, ის ვარაუდობდა, რომ მისი დასავლეთის ციხეში დაკავების განმავლობაში ამ მიმართულებით არ ჩატარებულა მისი ფსიქიატრიული შემოწმება.

85. ასევე ექიმების, ექთნების და დასავლეთის ციხის პერსონალის 1998 წლის ოქტომბრის ანგარიშების შესახებ იზოლირებულ პატიმრობაში ყოფნისას მისი მდგომარეობის შემოწმების თაობაზე განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მათი წარდგენა მოხდა ქალაქის სასამართლოს მიერ მის განჩინებაში ასახული, მკვეთრად კრიტიკული მოსაზრების გამოხატვის შემდეგ აღნიშნულ მონიტორინგთან დაკავშირებით. ამდენად, მსოფლიო საკომპენსაციო პროცედურების თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების გამოტანის შემდეგ გაკეთდა აღნიშნული ძალიან კატეგორიული განცხადებები.

86 მთავრობა აცხადებდა, რომ არ არსებობს ზოგადი საფუძველი იმის სამტკიცებლად, რომ ღანიის კანონმდებლობაში გათვალისწინებული წინასწარი დაკავების იზოლირებული პატიმრობის ფორმა ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლის უფრო კონკრეტულად მათ განაცხადეს, რომ განმცხადებლის წინასწარი დაკავება იზოლირებულ პატიმრობაში, რომელიც გაგრძელდა თერთმეტი თვისა და თოთხმეტი დღის განმავლობაში არ შეესაბამებოდა აღნიშნული დებულების დარღვევას. არსებობდა ძალიან სერიოზული საფუძველი იმაში დასაუკულებლად, რომ განმცხადებელმა წაიღინა ძალიან სერიოზული დანაშაული, რომელსაც შედეგად შეიძლებოდა მოჰყოლოდა განგრძობითი პატიმრობა და იზოლირებული პატიმრობა აუცილებელი იყო იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ განმცხადებლის მიერ საპოლიციო გამოძიებისათვის ხელის შეშლა უფრო მეტიც, განმცხადებელმა მნიშვნელოვან დონემდე თვითონ მისცა დასაბამი იზოლირებულ პატიმრობაში წინასწარი დაკავების ხანგრძლივობას 1995 წლის 26 სექტემბრამდე მისი ცრუ ჩვენების შენარჩუნებით, როგორც 'შეთანხმებული' პატიმრობის მის თანაბრადღებულთან „პლ“-სთან და დღიურში მისი განაცხადის გასამყარებლად ცრუ აღნიშვნების შეტანით. იზოლირებული პატიმრობა შეიცვალა მაშინვე, როგორც კი გაქრა გამოძიებაზე მისი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, მაგალითად, განცხადებების პარმონიზაციის მიზნით თანაბრადღებულთან კომუნიკაციის გზით.

87. მთავრობამ შემდეგ განაცხადა, რომ ხელისუფლებამ არც იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა, რომ განმცხადებელს ზიანი მიაღდა იზოლირებულ პატიმრობაში ყოფნისას ისინი კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებდნენ იმ საკითხს, რომ განმცხადებელი 1997 წლის 8 დეკემბრიდან 1998 წლის 19 იანვრამდე პერიოდში ჩატარებული შემოწმების შედეგად აღმოჩნდა ფსიქოტური, მაგრამ ისევე აცხადებდნენ, რომ 1994 წლის 14 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე პერიოდის განმავლობაში მას არ გამოუხატავს ფსიქიკური აშლილობის საწყისი, თუ განვითარების რაიმე ნიშანი და რა თქმა უნდა, ხდებოდა მისი ეფექტურად შემოწმება, კერძოდ, ის ორმოცდასამჯერ შემოწმდა ექთნების და ოცდაშვიდჯერ ექიმების მიერ, რომლებიც კარგად იყვნენ გაწვრთნილები და იცოდნენ, თუ რა სიმპტომებისათვის უნდა მიექციათ ყურადღება იზოლირებულ პატიმრობაში მყოფი პირების შემოწმებისას. ამ მიმართულებით ისინი *in et ralia* ეყრდნობოდნენ კოპენჰაგენის ციხის მთავარი კონსულტანტის 1998 წლის 2 ოქტომბრის განცხადებას

88. დამატებით, ისინი აღნიშნავენ, რომ იზოლირებული პატიმრობა არ გულისხმობს სხვა პირებისაგან სრულ იზოლაციას. განმცხადებელს ჰქონდა ყოველდღიური ურთიერთობა ციხის პერსონალთან და იღებდა რეგულარულად ხედავდა ექთნებს, ექიმებს, სოციალურ მუშაკს, მის დამცველს და გარე სამყაროს სხვა წარმომადგენლებს, თუმცა ეს უკანასკნელი ხორციელდებოდა მეტოვალეურობის ქვეშ. დაბოლოს, მთავრობა აღნიშნავდა, რომ განმცხადებელმა ფაქტობრივად ნებაყოფლობით აირჩია იზოლირებულ პატიმრობაში ყოფნა 1995 წლის 28 ნოემბრიდან 12 დეკემბრამდე

ბ. სასამართლოს შეფასება

89. როგორც სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, კონვენციის მე-3 მუხლი იცავს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებას. ის აბსოლუტურ პირობებში კრძალავს წამებას, ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს მიუხედავად გარემოებებისა და მსხვერპლის საქციელისა (იხ. *Labita v. Italy* [GC], № 26772/95, §119, ECHR 2000-IV).

90. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ცუდად მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს იმისათვის, რომ მოხვდეს კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში. აღნიშნული სისასტიკის ზღვრის შეფასება შეფარდებითია; ის დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორებიცაა: მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და მენტალური ეფექტები და ზოგიერთ შემთხვევაში, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხ. სხვა ხელისუფალთ შორის *Ireland v. The United Kingdom*, 1978 წლის 18 იანვრის განჩინება, სერია ა, № 25, გვ. 65. §162) გარდა ამისა, იმის განსაზღვრისას, არის თუ არა მოპყრობა „დამამცირებელი“ მე-3 მუხლის ფარგლებში, სასამართლო მხედველობაში მიიღებს, იყო თუ არა მისი მიზანი პირის დამცირება და იმდენად, რამდენადაც შედეგები

ნართული, მოახდინა თუ არა აღნიშნულმა მოპყრობამ უარყოფითი გავლენა კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ. თუმცა, აღნიშნული მიზნის არარსებობას არ შეუძლია გამოირიცხოს ამ დებულების დარღვევა (იხ. *Peers v. Greece*, № 28524/95, §67-68 და 74, ECHR 2001-III და *Valasinas v. Lithuania*, № 44558/98, §101, ECHR 2001-VIII).

91. კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ პირი დაკავებული იყოს ისეთ პირობებში, რომლებიც შეესაბამება ადამიანურ ღირსებას, ზომის აღსრულების მეთოდი და ხასიათი პირს არ განაცდევინებდეს მწუხარებასა და გაჭირვებას, რომელიც აღემატება დაკავებით გამოწვეულ ტანჯვას და დაკავების პრაქტიკული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, პირის ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა ადეკვატურად არის დაცული (იხ. *Kudla v. Poland* [GC] № 30210/96, §92-94, ECHR 2000-XI) სამედიცინო დახმარებისა და მოპყრობის თაობაზე არსებული დებულებებით (იხ. *mutatis mutandis*, *Aerts v. Belgium* 1998 წლის განჩინება, ანგარიშები 1998-V, გვ. 1966, §64 et seq.). დაკავების პირობების შეფასებისას, ყურადღება უნდა მიექცეს ამ პირობების კუმულაციურ ეფექტს, ისევე როგორც განმცხადებლის მიერ გაკეთებულ სპეციალურ მიტითებებს (იხ. *Dougoz v. Greece*, № 40907/98, §46, ECHR 2001-II).

92. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის საჩივარი კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის თაობაზე მოიცავს ორ საკითხს:

1) რამდენად გადაჭარბებული იყო იზოლირებული პატიმრობის ვადა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იზოლირებული პატიმრობა, რომელიც გრძელდებოდა 1994 წლის 14 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე თავისთავად არღვევდა აღნიშნულ დებულებას; და

2) იყო თუ არა განმცხადებლის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა ეფექტურად შემოწმებული აღნიშნული პერიოდის განმავლობაში.

1) იყო თუ არა იზოლაციის პერიოდი გადაჭარბებული

93. სასამართლო იმეორებს, რომ იზოლირებული პატიმრობა თავისთავად არ არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს (იხ. ზემოთ აღნიშნული *Valasinas v. Lithuania* და *Peers v. Greece*). „რადგან სხვებთან ასოციაციისაგან ჩამოშორება გრძელი ვადით არ არის სასურველი, სვდება თუ არა ეს ზომა კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე, ზომის სიმკაცრეზე, მის ხანგრძლივობაზე, მისაღწევ მიზანსა და ნართულ პირზე გავლენის მოხდენაზე“ (იხ. მაგ. *Hosie v. United Kingdom*, განაცხადი № 27847/95, კომისიის 1997 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება, *R v. Denmark*, № 10263/83, კომისიის 1985 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება, DR 41 გვ. 149 და *Ensslin, Baader, Raspe v. Germany*, № 7572/76, 7586/76 და 7587/76, კომისიის 1978 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება DR 14 გვ. 64).

94. ზემოთ აღნიშნულ საქმეში *R v. Denmark* მიუხედავად სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი, კომისიამ განაცხადა, რომ იზოლირებულ პატიმრობაში ყოფნა 17 თვის განმავლობაში არასასურველი ვადა იყო და ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი ხანგრძლივობა არ იყოს გადაჭარბებული.

95. შემდეგ სასამართლო მიუთითებს წამების და არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის ევროპული კომიტეტის ანგარიშზე, რომელიც დაიწერა 1996 წელს, 29 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე, მათი ვიზიტის შემდეგ (CPT/ინფ (97) 4)), სადაც ჩანს, რომ იზოლირებული პატიმრობის საკითხი CPT-სა და დანიის სელისუფლებას შორის მუდმივი დიალოგის საგანია. კომიტეტი აქცენტს აკეთებს, რომ იზოლირებული პატიმრობის ყველა ფორმა შესაბამისი ფსიქიკური თუ ფიზიკური სტიმულატორების გარეშე გრძელვადიან პერსპექტივაში იძლევა საზიანო ეფექტს, რაც შედეგად იძლევა ფსიქიკური შესაძლებლობებისა და სოციალური უნარების გაუარესებას.

96. მეორე მხრივ, სასამართლო იმეორებს მის დადგენილებას საქმეში *Messina v. Italy* (დეკ.), № 25498/94, ECHR 1999-V, რომელიც შეეხებოდა განმცხადებლის სპეციალურ რეჟიმში

მოთაქვებას. დაახლოებით, ოთხწელიწად-ნახევრის განმავლობაში ძალიან სერიოზული დანაშაულის გამო, რომელიც შეეხებოდა მაფიასთან კავშირს, რომელშიც ის იყო წართული. თუ რომელთან დაკავშირებითაც უდებოდა ბრალი. სასამართლომ დაადგინა, რომ მოპყრობას არ მოუღწევია სისასტიკის მინიმალური ზღვრისთვის, რათა მომსდარიყო კონვენციის მე-3 მუხლის ამოქმედება. და ისევე, საქმეში *Bastone v. Italy* (დეკ) № 59638/00, 2005 წლის 18 იანვარი, სასამართლომ განმცხადებლის საწივარი კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე დაუშვებლად ცნო სპეციალურ ციხის რეჟიმთან დაკავშირებით. რომელსაც ის დაექვემდებარა 1993 წლიდან 2003 წლამდე და რომლის მიზანიც იყო მაფიასთან მისი კონტაქტის თავიდან აცილება. და ბოლოს, საქმეში *Ocalan v. Turkey* [GC] № 46221/99, §196, 2005 წლის 12 მაისი, CPT-ს რეკომენდაციებზე დავისას განმცხადებელზე სოციალური იზოლაციის გრძელვადიან ეფექტებთან დაკავშირებით (რომელიც გაგრძელდა 1999 წლის 16 თებერვლიდან ექვს წელიწადზე მეტ ხანს. იმ დღემდე, სანამ არ მოხდა განსინების გამოტანა), როდესაც მას ეძლეოდა იგივე შესაძლებლობები, რაც მაღალი დაცვის პატიმრებს, როგორცაა: ტელევიზორის ყურება და ოჯახის წევრებთან სატელეფონო კავშირის შესაძლებლობა, სასამართლომ დაადგინა, რომ ზოგადი პირობები, რომელშიც ხდებოდა მისი დაკავება, როგორც იმრალის ციხის ერთადერთი პატიმარი, არ აღწევდა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ არაადამიანური, ან დამამაცირებელი მოპყრობით გამოწვეულ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს.

97. მოცემულ საქმეში, იზოლირებული პატიმრობა გაგრძელდა 1994 წლის 14 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე, შესაბამისად, თერთმეტი თვე და თოთხმეტი დღე. სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნულმა პერიოდმა შეიძლება შეგვაშფოთოს, რადგან როგორც CPT-მ არაერთხელ აღნიშნა, არსებობს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის რისკი. თუმცა, როდესაც ხდება გადაჭარბებული ვადის შეფასება, მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს დაკავების პირობები, მათ შორის, სოციალური იზოლაციის დონე. განმცხადებელი დაკავებული იყო საკანში, რომლის ფართიც იყო რვა კვადრატული მეტრი და იყო ტელევიზორი. ასევე მას დაშვება ჰქონდა გასუფთავებაზე. ის სრულად იყო იზოლირებული სხვა პატიმრებისაგან, მაგრამ დღის განმავლობაში მას ურთიერთობა ჰქონდა ციხის პერსონალთან, მაგალითად, როდესაც მასთან მიჰქონდათ საჭმელი, გარეთ ვარჯიშისას ან ფიტნეს-ოთახით სარგებლობისას, როდესაც წიგნებს თხოულობდა ბიბლიოთეკაში, ან ყიდულობდა მათ მაღაზიაში. დამატებით, მას ყოველ კვირას უტარდებოდა გაკვეთილები ინგლისურსა და ფრანგულში, რომლებსაც მას უტარებდა ციხის მასწავლებელი და ასევე ჰქონდა შეხვედრები ციხის მღვდელთან. ასევე ყოველ კვირას მას შეხვედრები ჰქონდა მის დამცველთან. გარდა ამისა, იზოლირებული პატიმრობის სეგრეგაციის პერიოდში მას თორმეტჯერ ჰქონდა შეხვედრა სოციალურ მუშაკთან, ოცდათორმეტჯერ მთინახულა ფსიქოთერაპევტმა, ოცდაშვიდეჯერ – ექიმმა და ორმოცდასამჯერ – ექთანმა. განმცხადებლის ოჯახის წევრებისა და მეგობრების ვიზიტები შესაძლებელი იყო მხოლოდ მეთვალყურეობის ქვეშ. განმცხადებლის დედა მას ნახულობდა კვირაში ერთხელ, დაახლოებით, ერთი საათის განმავლობაში. თავიდან მასთან ერთად მოდიოდნენ მისი მეგობრებიც, ერთდროულად ხუთ კაცამდე, მაგრამ პოლიციამ ერთდროულად მოსული მნახველების რაოდენობა შეზღუდა ორ ადამიანამდე იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო დიალოგებში განმცხადებლის ბრალთან დაკავშირებით რაიმე საკითხის განხილვის შემოწმება. განმცხადებელს ორ კვირაში ერთხელ ასევე ნახულობდა მამამისი მის ბიძაშვილთან ერთად.

98. ამ გარემოებებში სასამართლო აღგენს, რომ იზოლირებული პატიმრობის ვადა, რომელიც გაგრძელდა ერთ წელიწადზე ნაკლებ ხანს, თავისთავად არ უტოლდება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

2) იყო თუ არა განმცხადებლის ფსიქიკური ჯანმრთელობა ეფექტური მონიტორინგის ქვეშ მისი დაკავების პერიოდის განმავლობაში

99. სასამართლო აცხადებს, რომ ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას თავისუფლებათა დაცვითი პირის ჯანმრთელობა და შესაბამისი სამედიცინო ყურადღების ნაკლებობა შეიძლება გაუტოლდეს მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოქმედებას (იხ. სხვა საქმეებს შორის *McGlinchey and Others v. the United Kingdom*, № 50390/99, §57, ECHR 2003 – V, და *Ilhan v. Turkey* [GC] №

22277/93, §87, ECHR 2000-VII). ფსიქიკურად დაავადებული პირების შემთხვევაში იმის შეფასებისას, თუ რამდენად იყო მოპყრობა თუ სასჯელი მე-3 მუხლის სტანდარტებთან შეუსაბამო, ზოგიერთ საქმეში მსჯელობაში მიიღება მათი მტკივნეული ხასიათი და უუნარობა, თანმიმდევრული ჩივილი და ზოგადად, გასაჩივრებული მოპყრობის ზეგავლენა მათზე (იხ. მაგალითად *Herczegfalvy* და *Aerts v. Belgium*, ორივე ზემოთ აღნიშნული). განიხილება *Keenan v. United Kingdom*, № 27229/95, ECHR 2001-III, §§113-116, სასამართლო ჩიხში შეიყვანა განმცხადებელთან დაკავშირებით სამედიცინო აღნიშვნების ნაკლებობამ, რომელსაც დადგენილად გააჩნდა თვითმკვლელობის რისკი. მან დაადგინა განმცხადებლის მდგომარეობის ეფექტური მონიტორინგის ნაკლებობა და ინფორმირებული ფსიქიატრის შენატანის ნაკლებობა მის შეფასებასა და მოქცევაში ააშკარაებდა ფსიქიკურად დაავადებული, თვითმკვლელობისაკენ მიდრეკილი ადამიანისადმი სამედიცინო ყურადღების მნიშვნელოვან დეფექტებს.

100. მოცემულ საქმეში განმცხადებელი მოთავსდა გამოსაკვლევ ოთახში 1994 წლის 13 დეკემბრის 8 საათიდან 1994 წლის 14 დეკემბრის 12.30 საათამდე, რადგან მან განაცხადა, რომ იტანჯებოდა კლავსტროფობიით და გამოხატა თვითმკვლელობის სურვილი. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს პერიოდი მოიცავს განმცხადებლის დაკავების პირველ დღეს, სანამ ხელისუფლება საჭიროდ ჩათვლიდა მის იზოლირებულ პატირობაში მოთავსებას. ასევე ის განიხილავს, რომ აღნიშნული თექვსმეტსაათ-ნახევრის განმავლობაში ის ოცდათექვსმეტჯერ შეამოწმა ციხის პერსონალმა, ხოლო ორჯერ – ექთნებმა.

101. იზოლირებული პატიმრობის განმავლობაში 1994 წლის 14 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე განმცხადებელს სამედიცინო, თუ ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი რეგულარულად სტუმრობდა. ის ოცდაშვიდჯერ მოინახულა ექიმმა, ორმოცდასამჯერ – ექთანმა, ოცდათორმეტჯერ – ფსიქოთერაპევტმა და რამდენჯერმე სტომატოლოგმა. რაც შეეხება ანგარიშებს ექიმების მიერ ოცდაშვიდჯერ სამედიცინო ინსპექტირების თაობაზე, აღსანიშნავია შემდეგი მოვლენები:

102. 1995 წლის 11 იანვარს ექიმმა მოინახულა განმცხადებელი და უარი უთხრა საძილე აბების მიღების გაგარძელებაზე. ექიმმა დაადგინა, რომ განმცხადებელს აღარ ჰქონდა კლავსტროფობიის ჩივილები და ურჩია „ფიზიკური ვარჯიშების“ დაწყება, რათა მიეღწია ბუნებრივ დაღლილობამდე, ქიმიური ტაბლეტებით გამოწვეული ძილის ნაცვლად.

103. დაახლოებით, 1995 წლის იანვრის შუაში დაწყებული პერიოდიდან იმ თვის ბოლომდე განმცხადებელმა დაიწყო შიმშილობა, თუმცა სვამდა ხილის წვენებს. ამასთან დაკავშირებით ექიმები მას ხდებოდა ყოველდღე ამოწმებდნენ 1995 წლის 16-დან 18 იანვრამდე. 1995 წლის 17 იანვარს განმცხადებელმა განაცხადა, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა შიმშილით სიკვდილი. ციხის ექიმმა მას იქვე აცნობა დანიის კანონმდებლობის შესახებ, რომელიც აწესებს ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანის სურვილების პატივისცემას, თუნდაც ეს იყოს სიკვდილის სურვილი. ექიმმა განმცხადებელი ფსიქიკურად ჯანმრთელად და ნორმალურად მიიჩნია აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისათვის და მიიღო განმცხადებლის უარი სამედიცინო ჩარევაზე, როგორცაა ხელოვნური კვება განმცხადებლის ჯანმრთელობის მომავალ ნებისმიერ ფატალურ სისუსტესთან. დაკავშირებით. გარდა ამისა, ექიმმა განმცხადებელი ფიზიკურად ჯანმრთელად ცნო, აცეტონის სუნის გარეშე, რაც როგორც წესი ჩნდება შიმშილობის დროს. ექიმმა განმცხადებელს გამოუწერა საძილე აბი იმ ღამისათვის. ციხის წესების შესაბამისად, ექიმმა ასევე მოითხოვა განმცხადებლის ფსიქიატრიული შემოწმება – მოთხოვნა, როცა პატიმარი იწყებს შიმშილობას, თუნდაც არ იყოს აღმოჩენილი ფსიქიკური აშლილობის ნიშნები. შემდეგ დღეს, 1995 წლის 18 იანვარს, განმცხადებელმა ექიმს აცნობა, რომ მან დაიწყო დაღევა, თუმცა ვარაუდობდა, რომ ის მოკვდებოდა სამ კვირაში. ექიმმა განმცხადებელი ფიზიკურად ნორმალურად, დეჰიდრაციის ნიშნების გარეშე, ცნო. რაც შეეხება მის ფსიქიკურ მდგომარეობას, ექიმი დაელოდა ფსიქიატრიულ გამოკვლევას, რომელიც დაგეგმილი იყო იმავე დღეს. ანგარიშში ფსიქიატრმა დასკვნის სახით განაცხადა:

„ვიზიტი ოცდაათი წლის ასაკის მამაკაცთან, რომელსაც ბრაღი ედება 191-ე მუხლით [სისხლის სამართლის კოდექსი] (*straffeloven*), რომელშიც მისი განცხადების მიხედვით

უდანაშაულოა ის ასეა შემშლელს ეს არის პროტესტის ზომა პრესისა და სხვების მიერ შექმნილი წინასწარი აზრის წინააღმდეგ და სავსებით იაზრებს ამ ქმედების შედეგებს და წერს გამოსამშვიდობებელ წერილებს. ანდერძს და ა.შ. დიაგნოზი სიტუაციური რეაქცია”

შედეგად, სანამ განმცხადებელი 1995 წლის იანვრის ბოლოს კვლავ დაიწებდა საკვების მიღებას, დაასლოებით 12 დღის განმავლობაში, ის ექიმის მიერ მოწმდებოდა კვირაში ორჯერ

104. 1995 წლის მარტში ჩატარდა EEG-ის სკანირება იმისათვის, რომ განმცხადებელი ეპილეფსიაზე შემოწმებულიყო. 1995 წლის 1 მაისს ექიმმა განმცხადებელი შეამოწმა მისივე ჩივილის საფუძველზე ქვედა წელის გამუდმებული ტკივილის გამო ექიმმა დაგალება გასცა მისთვის დამატებითი ღეიბი მიეცათ და მიუთითა ფსიქოთერაპევტის დასმარებაზე

105. 1995 წლის 12 დეკემბერს განმცხადებელმა გადაწყვიტა დაესრულებინა იზოლირებული პატიმრობა, რომელშიც ის ნებაყოფლობით იმყოფებოდა 1995 წლის 28 ნოემბრამდე, როდესაც ის გააუქმა სასამართლომ გარდა ამისა, როდესაც მან ნებაყოფლობით გადაწყვიტა სამსარეულოს საქმეებში ჩართვა, ის ისევ შეამოწმა ექიმმა, რადგან როგორც კოპენჰაგენის ციხის მთავარმა კონსულტანტმა განაცხადა, პატიმრებს, რომელთაც აქვთ, მაგალითად, ფსიქიკური აშლილობის ნიშნები, ან მნიშვნელოვანი გადასრები, არ მიიღებან სამსარეულოს საქმიანობის შესასრულებლად.

106. წარდგენილი სამედიცინო აღნიშვნების საფუძველზე, სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ განმცხადებელს სამედიცინო პერსონალის მიერ შემოწმებები ავტომატურ რეჟიმში რეგულარულად უტარდებოდა და ეს უკანასკნელი სწრაფად ახდენდა რეაგირებას და ზრდიდა თავის დაკვირვებებს განმცხადებლის მიმართ, როცა კი ის გამოხატავდა სასიათის ან ქცევის ნებისმიერ ცვლილებას.

107. წარდგენილ სამედიცინო აღნიშვნებთან ერთად, სასამართლო მოიხმობს *inter alia* კოპენჰაგენის ციხის მთავარი კონსულტანტის მიერ 1998 წლის 2 თქტომბერს გაკეთებულ განცხადებებს. ის კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებდა იმ ფაქტს, რომ განმცხადებელი ფსიქოტურად დასახელდა ფსიქიატრიული შემოწმებისას 1997 წლის 8 დეკემბრიდან 1998 წლის 19 იანვრამდე, მას შემდეგ რაც იზოლირებული პატიმრობის შეწყვეტიდან ორ წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ საზგასმით აღნიშნავდა, რომ განმცხადებელი არ აღმოჩნდა ფსიქიკურად მნიშვნელოვნად დაავადებული, ზღვარზე მყოფი ფსიქოტური, თუ ფსიქოტური 1994 წლის 13 დეკემბრიდან 1996 წლის 14 მაისამდე მისი დაკავების განმავლობაში. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ განმცხადებლის ფსიქიატრის მიერ 1995 წლის 18 იანვრის შეფასება ჩატარდა ადმინისტრაციული მიზეზების გამო მხოლოდ განმცხადებლის მიერ ჭამაზე მოკლევადიანი უარის გამო ზმდენად, ის არ ჩატარებულა განმცხადებლის ფსიქიკურ მდგომარეობაში ექიმის დაგვების გამო და არც ციხის ექიმს და არც ფსიქიატრს არ მიუჩნევიათ მისი ფსიქიკური მდგომარეობა კონკრეტულად აღსანიშნავად, ან თუნდაც შემაშფოთებლად. უმაღლესი სასამართლოს წინაშე მთავარმა კონსულტანტმა გაიმეორა, რომ არც ერთ მაღალკვალიფიციურ და კარგად გაწვრთნილ ექიმსა თუ ექთანს, რომლებიც სისტემატურად ამოწმებდნენ განმცხადებელს, მისთვის არ შეუძენვიათ ფსიქიკური აშლილობის რაიმე ნიშნები მან ამ ექიმების მისამართით აღნიშნა, რომ მათ აქვთ იზოლირებულ პატიმრობაში მყოფი პირების შემოწმების უდიდესი გამოცდილება და მათ კარგად იციან, თუ რა სასიგნალო ნიშნებს უნდა მიაქციონ ყურადღება ასეთი პატიმრების შემოწმებისას ფსიქიკური აშლილობის საწყის, თუ განვითარების სტადიაზე თუმცა არ ყოფილა აღმოჩენილი რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვითაც განმცხადებელს ახასიათებდა საწყისი იზოლაციის სინდრომი ამ სინდრომის ნიშნები: კონცენტრაციასთან დაკავშირებული სირთულეები, ძილის პრობლემა, დროისა და ადგილის შემაწუხებელი გრძნობა, სენსორული იმპულსების შემაწუხებელი ინტერპრეტაცია, დეპრესია შესაძლებელია გამოხატული იყოს თვითმკვლელობის სურვილით და დაბალი თვითშეფასებით, ნერვული შეტევები, არარეალუბის შეგრძნება, გარემოს მიმართ ინტერესის დაკარგვა საწყისი იზოლაციის სინდრომი შეიძლება გადაიზარდოს ზღვარზე მყოფ ფსიქოზში, რომლის სიმპტომებიც შეიძლება იყოს მოხევენებები/პარანოია, არარეალუბის შეგრძნება, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს აქტიური ფსიქოზი. როდესაც ის შენიშნავს საწყის იზოლაციის

სინდრომს, ის ამის თაობაზე წერილობით მიმართავს ციხის მენეჯმენტს, იმ მიზნით, რომ მოხდეს ამის გადაგზავნა დამცველთან და პროკურორთან 1998 წელს, მაგალითად, მოწმემ ასეთი წერილები დაწერა ოცდათორმეტჯერ მან არ იცოდა ზუსტად რამდენი ასეთი წერილი პქონდა დაწერილი 1995 წელს. მაგრამ მას ამ მიმართულებით პრაქტიკა არ შეეცვლია 1992 წლიდან.

108 ასეთ გარემოებებში სასამართლოს არ შეუძლია გაიზიაროს განმცხადებლის აზრი, რომ ჩატარებული სამედიცინო მონიტორინგი არაადეკვატური ან უსარგებლო იყო. დამატებით, განმცხადებელი არ იყო ავტომატურ რეჟიმში თუ რეგულარულად შემოწმებული ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის მიერ. სასამართლოს აზრით, ასეთი ვალდებულების დაკისრება არ შეიძლება ხელისუფლებისათვის ან დაკავებულებისათვის, რადგან სახელმწიფო ასრულებს მოთხოვნებს, რომ უნდა მოხდეს იზოლირებულ პატიმრობაში მყოფი პირების ეფექტური მონიტორინგი

109. და ბოლოს, სასამართლო გააგრძელებს იმის შემოწმებას, შეუძლო თუ არა განმცხადებლის საქციელზე მისი იზოლირებული პატიმრობით წინასწარი დაკავების განმავლობაში სხვა პირების დაკვირვებას მიეცა საფუძველი ხელისუფლებისათვის, დაეწყოთ მონიტორინგი, ან დაექვემდებარებინათ განმცხადებელი შემდგომი ფსიქოლოგიური, თუ ფსიქიატრიული შემოწმებისათვის. სასამართლო, კერძოდ, აღნიშნავს განმცხადებლის დედის, მისი ბიძაშვილის, ციხის მღვდლისა და ციხის მასწავლებლის ჩვენებებს, მიცემულს საქალაქო სასამართლოს წინაშე საკომპენსაციო პროცესებზე (იხ. §§48-51). აღსანიშნავია, რომ ამ ოთხი მოწმიდან არც ერთი არ გამოხატავს მოსაზრებას, რომ განმცხადებელს განუვითარდა ფსიქიკური დაავადება და მის წინასწარ დაკავებაში იზოლირებული პატიმრობის განმავლობაში არცერთხელ არ მიუძღრათ მათი დაკვირვების ან წუხილის თაობაზე სასამართლოსთვის, დამცველისათვის, ციხის მენეჯმენტისათვის ექთნებისა ან ექიმებისათვის. როგორც კოპენჰაგენის ციხის მთავარი კონსულტანტის მიერ გაკეთებული განცხადებიდან ჩანს, ამ უკანასკნელისადმი მიმართვა უმაღლესად მიზანშეწონილი იქნებოდა, როგორც მისი ზოგადი პრაქტიკიდან გამომდინარე იზოლაციის საწყისი სინდრომის თაობაზე ციხის მენეჯმენტისათვის ინფორმაციის მიწოდება ამ ინფორმაციის დამცველისა და პროკურორისათვის გადაგზავნის თაველსაზრისით.

110 ამ გარემოებებში სასამართლო ასკვნის, რომ არ არსებობდა განმცხადებლის მდგომარეობაზე ეფექტური მონიტორინგის ნაკლებობა, ან ფსიქიატრიული შეფასების ნაკლებობა, ან სამედიცინო ყურადღების ნაკლებობა, რომელიც შეიძლებოდა გატოლებოდა კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას.

ამ მიზანშეწონილი გამო სასამართლო

4 ხმით სამის წინააღმდეგ ადგენს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი;
შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით ეცნობა 2005 წლის 21 ივლისს, სასამართლოს წესების 77-ე წესის მე-2 და მე-3 პარაგრაფების მიხედვით

სანტიავო ქმმსადა
რეგისტრატორის მოადგილე

ქრისტოს როზაკისი
პრეზიდენტი

კონვენციის 45-ე მუხლის მეორე პარაგრაფის და სასამართლოს წესების 74-ე წესის მე-2 პარაგრაფის მიხედვით მოსამართლეების როზაკისის, ლუკაიდეს და ტულკენის განსხვავებული აზრი თან ერთვის წინამდებარე განჩინებას

ს.ლ.რ
ს.ძ.

მოსამართლეების როზაკისის, ლუკაიდეს და ტულკენის გაერთიანებული განსხვავებული აზრი

ჩვენ არ ვიზიარებთ უმრავლესობის აზრს, რომ მოცემულ საქმეში არ დარღვეულა მე-3 მუხლი შემდეგი მიზეზების გამო:

1. გვერდზე რომ გადავდეთ ის საკითხი, უნდა იყოს თუ არა გამოყოფილი ციტირებული პრეცედენტული სამართლის 96-ე პარაგრაფი მოცემული საქმიდან სისხლისსამართლებრივი დანაშაულის არსებული განსხვავებების გამო, ნათელი განსხვავდეს, ერთი მხრივ სოციალურ იზოლაციას ან ბრალის დამტკიცების შემდეგ სასამართლოს მიერ დაწესებულ სპეციალურ რეჟიმს შორის და მეორე მხრივ წინასწარი დაკავების იზოლირებულ პატიმრობას შორის, როგორც ეს გვხვდება მოცემულ საქმეში. შესაბამის დროს, სამართლის ადმინისტრირების აქტის 770^ა-ე და 770^ბ-ე ნაწილების მიხედვით წინასწარი დაკავება იზოლირებული პატიმრობით „არ შეიძლება ინიცირებულ ან გაგრძელებულ იქნეს, თუ მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნეს ნაკლებად რადიკალური ზომების გამოყენებით, ან თუ ზომა არაპროპორციულია საქმის მნიშვნელობასთან და იმ სანქციასთან, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, პირის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში. იზოლირებული პატიმრობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული განსაკუთრებული პოტენციური დაძაბულობა ექსპერიმენტის, მისი ახალგაზრდობის, ფსიქიკური თუ მენტალური სისუსტეების გამო“. ამდენად, იზოლირებული პატიმრობა იყო გამონაკლისი ზომა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ის მიიჩნევა არსებულ გარემოებებში აბსოლუტურად საჭიროდ.

მიუხედავად ამისა, მოცემულ საქმეში, საქალაქო სასამართლომ და იზოლირებული პატიმრობის გაგრძელების საკითხის განხილვისას უმადლესმა სასამართლომ გამოყო უფრო მეტად ზოგადი მიზეზები მათი გადაწყვეტილების საფუძველად და არ დააკონკრეტეს, თუ მოცემულ გარემოებებში რატომ იყო იზოლირებული პატიმრობა მიჩნეული აბსოლუტურად საჭიროდ, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, რატომ იყო საჭირო განმცხადებლის სრული იზოლირება სხვა პატიმრებისაგან. გარდა ამისა, გადაწყვეტილებებში არ არის შემუშავებული ის საკითხი, იყო თუ არა განხილული ნაკლებად რადიკალური ზომა, მაგალითად, ისინი არ განმარტავენ რატომ არ იყო მიჩნეული საკმარისად სამართლის ადმინისტრირების აქტის 762-ე ნაწილით გათვალისწინებული „ნორმალური“ წინასწარი დაკავება. ასევე ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ, რომ იზოლირებული პატიმრობის ზომა გაუქმდა 1995 წლის 28 ნოემბერს მაშინვე, როგორც კი განმცხადებელმა აღიარა საქალაქო სასამართლოს წინაშე მისი წართულობა პაპიას იმპორტში (იხ. §§13-19).

ამ მოსაზრებების გათვალისწინებით, ჩვენ არ ვართ დარწმუნებული, რომ არსებულ გარემოებებში არ იყო აბსოლუტურად საჭირო განმცხადებლის წინასწარი დაკავების იზოლირებული პატიმრობის გამონაკლისი შემთხვევისათვის დაქვემდებარება ასეთი გრძელი ვადით

2. მოცემულ საქმეში მისი დაკავების დღის 1994 წლის 13 დეკემბრის 8.00 საათიდან მომდევნო დღის 12.30 საათამდე განმცხადებელი მოთავსებული იყო დასაკვირვებელ საკანში, რადგან მან განაცხადა, რომ აწუხებდა კლავსტროფობია და ცდილობდა თავის მოკვლას. შესაბამისად, 1994 წლის 14 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე ის იზოლირებულ პატიმრობაში იყო საკანში, სადაც მთლიანად იყო მოწყვეტილი სხვა პატიმრებთან ურთიერთობას. სამედიცინო აღნიშვნების და წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ სამედიცინო პერსონალმა მონიტორინგი გაუწია განმცხადებელს და მოათავსა ის უდამსდევლობის ქვეშ ხასიათის ან ქცევის ნებისმიერი ცვლილების გამოვლენისას

მიუხედავად ამისა, განმცხადებელი მხოლოდ ერთხელ, კერძოდ, 1995 წლის 18 იანვარს, მოინახულა ფსიქიატრმა, როცა იზოლირებულ პატიმრობაში მოთავსებიდან გახული იყო ერთ თვეზე ნაკლები. იზოლირებული პატიმრობის შემდგომი პერიოდში, რომელიც გაგრძელდა 1995 წლის 28 ნოემბრამდე (ანუ შემდეგი ათი თვის განმავლობაში), განმცხადებელს არ

ნატარებია არც ფსიქოლოგიური და არც ფსიქიატრიული შემოწმება

ნევნ ამასთან დაკავშირებით ვიმეორებთ, რომ CPT-ს 1991 წლის (CPT/ინფ (91) 2) ანგარიში საზს უხვამს, რომ გარკვეულ გარემოებებში იზოლირებული პატიმრობა შეიძლება გაუტოლდეს არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას და ნებისმიერ შემთხვევაში იზოლირებული პატიმრობის ყველა ფორმა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მოკლე. ის რეკომენდაციას უწევს დანიის სელისუფლებას მიიღოს ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ წინასწარ დაკავებაში მყოფი პირების იზოლირებულ პატიმრობაში მოთავსება მოხდეს გამონაკლის შემთხვევებში, რომელიც მკაცრად იქნება შეზღუდული საქმის აქტიურ მოთხოვნებთან. ასევე ნევნ განეხილავთ, რომ შესაბამის დროს კვლევის პროექტი შემოწმდა იუსტიციის სამინისტროს მიერ, რათა „შემოწმებულიყო „საპყრობილეში იზოლირებულ პატიმრობაში დაკავების ნებისმიერი საზიანო ეფექტი“, რომლის შედეგიც გამოქვეყნდა 1994 წლის მაისის ანგარიშში და აცხადებდა, რომ კვლევის ჯგუფმა *inter alia* დაადგინა: „...საპყრობილეში წინასწარი იზოლირებული პატიმრობა, არაიზოლირებული პატიმრობის საპირისპიროდ, მოიცავს ფიზიკურ ჯანმრთელობაზე საზიანო ეფექტის რისკს“ და რომ „...არსებობს დიდი ალბათობა, იზოლირებულ პატიმრობაში მყოფ პირებს განუვითარდეთ ფსიქიკური პრობლემები, რის გამოც ისინი გადაჰყავთ ციხის ჰოსპიტლებში, განსხვავებით იმ პირებისაგან, რომლებიც არ არიან მოთავსებული იზოლირებულ პატიმრობაში“ (ის. მაგალითად დოკუმენტის CPT/ინფ (96) 14, გვერდი 164).

ამ გარემოებებში და იმ ფაქტის მხდევლობაში მიღებით, რომ განმცხადებელმა გამოხატა ფსიქიკური მგრძნობელობა მისი დაკავების ადრეულ სტადიაზე, მაგალითად, მან განაცხადა, რომ ის აპირებდა თვითმკვლელობას მისი დაპატიმრების დღეს, ნევნ ვადგენთ, რომ სელისუფლებისაგან გონიერული ნაბიჯი იქნებოდა განმცხადებლისათვის მათი ინიციატივით დაენიშნათ რეგულარული ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული შემოწმებები.

ასევე წინასწარ იზოლირებულ პატიმრობაში მყოფი განმცხადებლის საქციელზე შემდეგი პირების დაკვირვებების თაობაზე აღვნიშნავთ:

განმცხადებლის დედამ, სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნა, რომ განმცხადებლისთვის წინასწარი დაკავების პერიოდი, როდესაც ის იზოლირებულ პატიმრობაში იმყოფებოდა, უარესი იყო. ამის შემდეგ ის უფრო ადამიანური გახდა და უფრო თანმიმდევრულად საუბრობდა. მისი იზოლირებული პატიმრობის განმავლობაში მან დაწერა რამდენიმე უცნაური შინაარსის წერილი, მათ შორის, ერთ-ერთი იყო იმის უცნაური პრესენტაცია, თუ როგორ მუშაობს სამყარო. ის დამცველს ესაუბრა ფსიქოლოგის გარედან შეყვანის თაობაზე, მაგრამ ეს საკმაოდ რთული დასარეგულირებელი გამოდგა და შედეგი არ გამოიღო. მას შეუძლია აღწეროს განმცხადებელი დაკავებამდე, როგორც დინამიური და ერთგული, სოლო დაკავების შემდეგ, როგორც პირქუში და შეუვალი პიროვნება.

განმცხადებლის ბიძაშვილმა, სხვა საკითხებთან ერთად, განაცხადა, რომ განმცხადებელი გამოიყურებოდა ძალიან უბედურად და ზედმეტად დაკავებულად. სწორად ის უბრალოდ ისმენდა. მას ასევე შეეცვალა გარეგნობა, მოუშვა წვერი და გახდა. განმცხადებელი დროის გასვლასთან ერთად ნელ-ნელა უკეთესად ხდებოდა, თითქოს მან სიმშვიდე იპოვა.

ციხის მღვდელი, სხვა საკითხებთან ერთად, ამბობდა, რომ განმცხადებელი დიდი ყურადღებით მოძრაობდა მიწაზე და პრაქტიკულად დადიოდა კედლის კიდეებში. ის დადიოდა იმ ადამიანივით, რომელსაც არასოდეს უვარჯიშია და გამოიყურებოდა მორიდებულად. განმცხადებელს სჭირდებოდა ვარჯიში, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური. მას ჰქონდა ძალაუფლების დაკარგვის დიდი განცდა. განმცხადებელი სხვა მესაკნეებისაგან განსხვავდებოდა როგორც უცხო, რომელსაც შეეძლო ასე ეფიქრა და ესაუბრა და არ იყო ჯერ გატეხილი. მღვდელმა აღნიშნა, რომ, სოციალურ, იზოლირებულ პატიმრობაში, ადამიანები კარგავენ კონცენტრაციას. ასევე მოხდა განმცხადებლის შემთხვევაში. განმცხადებელი მხიარულდებოდა და სტიმულს გრძნობდა, როდესაც მღვდელთან მიდიოდა მოსანახულებლად, მაგრამ კონსულტაციების დროის დამთავრება ძალიან რთული იყო, რადგან განმცხადებელი

მუდმივად პოულობდა ახალ საგნებს და იცოდა რა საკითხები აინტერესებდა მღვდელს.

ციხის მასწავლებელი აცხადებდა, რომ განმცხადებელი პირველი დღიდან სასოწარ-კვეთილი იყო. შესაბამისად, ის მორჩილად გამოიყურებოდა. მის საინდექსო კარტაზე 1995 წლის 18 სექტემბერს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მისი სასოწარკვეთა უფრო და უფრო მატულობდა. გაუარესდა განმცხადებლის ფიზიკური მდგომარეობა, ის საკუთარი თავის მიმართ დაუდევარი გახდა როგორც ჩაცმის, ისევე ჰიგიენის თაულისაზრისით. განმცხადებელი ბევრს კითხულობდა. თუმცა კონცენტრაციასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდა.

როგორც ჩანს, აღნიშნული ოთხი მოწმიდან არც ერთს არ გაუგზავნია თავისი დაკვირვება ან წუხილი სასამართლოსათვის, დამცველისათვის, ციხის მენეჯმენტისათვის, ექთნისა თუ ექიმებისათვის, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ფსიქოლოგიური ან ფსიქიატრიული შემოწმების ჩატარება. ჩვენი აზრით, ასეთი შეფასება არ უნდა ეფუძნებოდეს მოთხოვნას და ამის ნაცვლად, უნდა იყოს ავტომატურად რეკომენდებული მონიტორინგის სისტემის ნაწილი იზოლირებულ პატიმრობაში მყოფი პირებისათვის. ჩვენ გვჯერა, რომ მხოლოდ ასეთი გარემოებებისას შეიძლება მონიტორინგის მიხედვა ეფექტურად.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენ ვადგენთ, რომ მოცემულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.